გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

სამტრედიის მაცნე

N33 (9320) | 30 ნოემბერი. 2019 წელი | ფასი 50 თეთრი



2

შარშანდელ 500-სს პლუს წლევანდელი 600

“აჭინარას” “გაბრაზების” აღარ უნდა გვეშინოდეს

2

მასწავლებლის საპენსიო ჯილდოს მეორე ეტაპიც დასრულდა 3

2020 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურა და სოციალური სფერო კვლავ პრიორიტეტებია

?! 4

სანიმუშონი! 5

გომის სამუსიკო სკოლა წარმატებებს ითვლის 7

ისევ პრივატიზაციაზე, ტენდერებსა და . . .

8 ... და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე

შარშანდელ 500-სს პლუს წლევანდელი 600

სოფელ გორმაღალში შარშან დაგებული ბეტონის გზის 500 მეტრიან მონაკვეთს წელს კიდევ 600-სს უმატებენ. ისევე როგორც ყველა მსგავსი ტიპის გზაზე, აქაც განი 4 მეტრი, ბეტონის სისქე კი 16 სანტიმეტრი ექნება მას. სოფელში დაწყებული სამუშაოების მონახულებისას გავარკვიეთ, რომ შპს "დეინდეფენენტ ბიზნეს გრუპი" სამუშაოს, რომელზეც 91 ათასი ლარი იხარჯება, 15 დეკემბერს დაასრულებს. თანხის 95% რეგიონალური განვითარების ფონდი გაიღებს. ადგილობრივი მუნიციპალიტეტი მასში მხოლოდ 5 % თანხობრივ მონაწილეობას მიიღებს. მშენებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ბადრი თოფურია საუბრობს იმაზე, რომ: "სამუშაოთა შესრულების ხარისხის ყოველდღიურად მოწმდება. ზედამხედველობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურების გარეშე, ფაქტობრივად არაფერი კეთდება. მთავარია, ამინდმა შეგვიწყოს ხელი და ვადებში ჩატევის პრობლემა ნამდვილად არ გვექნება." ბადრი თოფურია და თემის ხელმძღვანელობა, ადგილობრივი ხალისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ვერ ასცდა იმაზე საუბარს, რომ მოსახლეობა მეტი გულისყურით უნდა მოეკიდოს საკითხს და გარკვეული ხნით მოარიდოს პირუტყვი ახლადდასხმულ ბეტონზე სიარულს. და არა მხოლოდ პირუტყვი, თავადაც უნდა შეიკავონ თავი. "შემდეგ, როცა ახლად-დაგებული ბეტონი ზიანდება, გვიწევს მისი ამოჭრა. რა თქმა უნდა, ხარვეზები მაშინვე სწორდება. ვწვალობთ, მაგრამ სხვანაირად არ გამოდის." "მოსახლეობას ვაფრთხილებთ ცოტა ხნით მოერიდონ ახლადდაგებულ გზას, მაგრამ ზოგჯერ მაინც ვაწყდებით პრობლემას. სამომავლოდ დარჩენილი 400 მეტრიანი მონაკვეთიც დაიგება და გორმაღლის ეს გზა ბოლომდე დასრულებული იქნება. შემდეგ შიდა გზებს მივხედავთ." _ ამბობს თემის დეპუტატი საკრებულოში გრიგოლ ჩიგოგიძე.

თეა ბაბუნაშვილი

"აჭინარას" "გაბრაზების" აღარ უნდა გვეშინოდეს

თეა ბაბუნაშვილი

იმ პატარა და უწყინარი მდინარეზე, ჭიანჭველას ფეხს რომ ვერ დაუსველებს, დიდი სამუშაოები მიმდინარეობს. როგორც სჩვევიათ, ყველა ადიდებაზე ხე და მიწა მოაქვთ მთის მდინარეებს, თუნდაც პატარებს. ასეა "აჭინარაც", გამოჩინებულის თემის ორ სოფელს, ზემო და ქვემო აბაშას ერთმანეთთან რომ აკავშირებს. გარდა ამისა, რადგან გამოჩინებულში სკოლა აღარ არის, მოსწავლეები ოფეთის სკოლაში სწორედ ამ მდინარეზე გადებული ხიდით გადაჰყავს მათთვის გამოყოფილ ავტობუსს. მეწყერი და მოვარდნილი წყალი გაღმა ზონის მაღალმთიანი სოფლებისთვის უცხო არ არის და "აჭინარზე" ძველი ხიდის კაპიტალურად შეკეთება აუცილებლობა გახდა.

თემის მაჟორიტარი რაჟდენ ტორონჯაძე მდინარეზე დაწყებული

სამუშაოების მიმდინარეობას თვალყურს ადევნებდა. ჩვენ კი მისი სიტყვები დავიჭირეთ, ისე უნდა გაკეთდეს, მოდიდებისას ფოთში არ ჩაგვიყვანოსო. ჟურნალისტებს სწორედ მან მოუყვა: "ერთი შეხედვით იტყვი პატარა და წყნარი მდინარეაო, მაგრამ თუ ადიდდა, "გაბრაზება" ძალიან იცის. ამჯერად ძველის ნაცვლად სრულიად ახალი ხიდის დამონტაჟება მიმდინარეობს. ვიმედოვნებთ, ამიერიდან მაინც არ შეგვექმნება პრობლემა წყალდიდობისას ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლაში." მისგანვე გავიგეთ, საკითხი, წლებია რომ აწუხებს სოფელს, ყოველწლიურად მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების ჩარევის შედეგად ხიდის სახელდახელო შეკეთებით გვარდებოდა.

შპს "ახალმშენის" სამუშაოთა მწარმოებელი გოჩა თოდრია აკონკრეტებს,

ამჯერად 4 მეტრი სიგანისა და 4 მეტრი სიგრძის მონოლითური რკინა-ბეტონის კონსტრუქცია დამონტაჟდება მდინარეზე, რომლის სიმაღლეც წყლის დონიდან 2 მეტრი იქნება. ფუნდამენტი 80 სანტიმეტრზე ჩაისხმება. პირდაპირი შესყიდვის წესით აღებულ პასუხიმგებლობას ეს კომპანია ვადების დაცვით დაასრულებს.

ისე როგორც სხვა სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები, მუშა პროცესი აქაც მოინახულა მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ, რომელმაც აღნიშნა: "მოსახლეობასაც მოეხსენება, რომ დაახლოებით თვენახევრის წინანდელმა სტიქიამ მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლები: გამოჩინებული, გორმაღალი, გომი, ოფეთი, ჭოგნარი, ნიგორზღვა, მნიშვნელოვნად დააზარალა. ოპერატიული ზომების მიღება გარდაუვალი იყო. პროცესების კიდევ უფრო დასაჩქარებლად საპროექტო ორგანიზაციას შესაბამისი პროექტების გამარტივებული წესით შესყიდვა ვთხოვეთ. ერთი მათგანი სწორედ აქ ასაგები ხიდის პროექტი გახლდათ. ხელშეკრულება გავაფორმეთ სამშენებლო ორგანიზაციასთან, რომელიც კარგი რეპუტაციით სარგებლობდა. შპს "ახალმშენთან" სწორედ საქმისადმი მისი პროფესიონალური მიდგომის გამო ვთანამშრომლობთ. მათგან შესრულებული სამუშაოს ხარისხის გარანტი გვაქვს. მართალი გითხრათ, მოსახლეობა ასეთ სწრაფ რეაგირებას არ ელოდა, მაგრამ მინდა დავარწმუნო ისინი, რომ ჩვენ პასუხისმგებლიანი ხელისუფლება ვართ და ყველაფერი კარგად იქნება.!"

სტიქიით დაზარალებულ სოფლებში ჩასატარებელი სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 160 ათასი ლარით ფინანსდება

ნიგორზღვაში გზა დაიგება

თეა ბაბუნაშვილი

კარგა დაბინდებული იყო ნიგორზღვაში ჯერ ისევ მომუშავე ტრაქტორს რომ მიუსწრეს მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ და ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენელმა ოთარ თევზაძემ. თემში მერის წარმომადგენელიც იქ გახლდათ. სოფელ პირველი ნიგორზღვის საჯავახოსთან დამაკავშირებელი ოთხკილომეტრიანი მონაკვეთის აღდგენა გადაუდებლად მოსაგვარებელი ჰქონდა სოფელს. შავლეგო თარგამაძემ მიმდინარე სამუშაოზე ისაუბრა და აღნიშნა: "ძლიერმა წვიმებმა ფაქტობრივად მწყობრიდან გამოიყვანა გზის ეს მონაკვეთი. მსუბუქ ავტომანქანებს გადაადგილება უჭირდათ. დაუყოვნებლივ აღსადგენი გახლდათ იგი. სოფელი წუხდა ამის გამო. ამიერიდან პრობლემა რამდენადმე მოიხსნება." რამდენადმე მოიხსნება იმიტომ, რომ დაზიანებული გზის სავალი ნაწილი გაიწმინდა და დაგრეიდერდა. ახლო მომავალში ამ ადგილას, ისევე როგორც ბევრგან მუნიციპალიტეტის სოფლებში, ბეტონის გზა დაიგება. გარდა გზის ამ მონაკვეთისა, გაიწმინდა და დაგრეიდერდა მეორე ნიგორზღვის სამკილომეტრიანი და სოფელ ჭოგნარის გზის კილომეტრნახევრიანი მონაკვეთი. სამუშაოებს შპს "ლატექსი" ასრულებს, რომელთანაც მუნიციპალიტეტს ხელშეკრულება აქვს დადებული ნიგორზღვასა და ოფეთში გზების მოვლა-შეკეთების თაობაზე. მუნიციპალიტეტის მერი აზუსტებს, რომ "ლატექსი" 20 ათასი ლარის ფარგლებში შეასრულებს სამუშაოს და ხარჯებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გაიღებს. "სამუშაოებზე პასუხისმგებლობა "ლატექსმა" სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ტენდერის ფარგლებში აიღო. ხელშეკრულება კი ჩვენ გავიფორმეთ." _ დასძენს ვალერიანე ფოცხვერია.

როგორც აღმოჩნდა, მოსახლეობის განსაკუთრებული კმაყოფილება გამოიწვია იმან, რომ ე. წ. "ნაკალოების" უბანში აქამდე არასდროს მომხდარა გზის დაგრეიდერება. ამიტომ გაუხარდათ განსაკუთრებულად შესაბამისი ტექნიკის გამოჩენა. "საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა სამუშაოები ტარდებოდა ჩვენს უბანში გამავალ გზაზე, მაგრამ გზის დაგრეიდერება არასდროს მომხდარა. ამჯერად, ვფიქრობთ, ბეტონის დაგებამდე ამინდის გაფუჭებისას პრობლემა არ შეექმნება გზას." _ აღნიშნავდნენ ამ უბნის მცხოვრებლები. "ამ ეტაპზე ნარჩენი ასფალტისგან იწმინდება შესაკეთებელი გზის ის მონაკვეთი, რომელზეც ახლა ვართ. მომზადდება იგი ბეტონის დასასხმელად და შემდეგ ოთხი მეტრის განით კილომეტრ ნახევარზე მოპირკეთდება ბეტონით. როგორც მუნიციპალიტეტის მერი აცხადებდა, ეს გზაც სხვა სასოფლო გზების მსგავსად თავიდან ბოლომდე სრულ რეაბილიტაციას დაექვემდებარება.

ქუთაისში ელექტრომობილების ქარხნის მშენებლობა დაიწყო

ქუთაისში ელექტრომობილების ქარხნის მშენებლობა დაიწყო. მშენებლობის პროცესს სახელმწიფო რწმუნებული იმერეთში ზვიად შალამბერიძე და ქუთაისის მერი გიორგი ჭიღვარია გაეცნენ. ადგილზე იმყოფებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები და "აი გრუპის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე კახა გულედანი.

როგორც ცნობილია, ქუთაისში ელექტრომობილების მწარმოებელ საწარმოს კომპანია "აი გრუპი" აშენებს. მშენებლობა მომავალ წელს დასრულდება. ქარხანაში თავდაპირველად დაახლოებით 300 ადგილობრივი მოსახლე დასაქმდება, თუმცა პროექტის განვითარებასთან ერთად კომპანია გეგმავს დასაქმებულთა რაოდენობა 1000-მდე გაზარდოს. საწარმოს ამოქმედებიდან 18 თვის ვადაში არანაკლებ 5000 ელექტრომობილი დამზადდება. ამასთან, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოში წარმოებული ელექტრომობილები ექსპორტზე გავა.

ნინო ნანიტაშვილი

2020 წლის ბიუჯეტში ინფრასტრუქტურა და სოციალური სფერო კვლავ პრიორიტეტებია

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიაში 2019 წლის 27 ნოემბერს 2020 წლის მთავარი საფინანსო დოკუმენტი განიხილეს.

მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და მერიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან 2020 წლის ბიუჯეტს ერთობლივად გადახედეს.

მუნიციპალიტეტის თავკაცის განმარტებით, სამტრედიის 2020 წლის ბიუჯეტი მაქსიმალურ საჭიროებებზე იქნება მორგებული. პრიორიტეტებად კვლავ დარჩება ინფრასტრუქტურა და სოციალური სფერო.

"ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრებისა და მოთხოვნების გათვალისწინებას ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს ქვეყანაში არსებული შემოსავლებიდან გამომდინარე. 2020 წლის ბიუჯეტში იმ თემებზეა აქცენტი გაკეთებული, რომელიც მოსახლეობას აწუხებს. ესაა სოციალური პაკეტები და ინსფრასტრუქტურული პროექტები. ჩვენ ბოლომდე გვაქვს გააზრებული მუნიციპალიტეტში არსებული საჭიროებები, ამიტომ ვცდილობთ, თანაბრად გადავანაწილოთ შესაძლებლობები და საბიუჯეტო პროცესები კანონის სრული დაცვით წარვმართოთ". _ აღნიშნა ვალერიანე ფოცხვერიამ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს, ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლებს, ააიპ ხელმძღვანელებს თანამშრომლობისკენ მოუწოდა,

ბიუჯეტის განხილვაზე საუბარი შეეხო ისეთ პრიორიტეტულ საკითხებს, როგორიცაა განათლების სისტემა, სოციალური სფერო, პენსიები და ინფრასტრუქტურა.

ვალერიანე ფოცხვერიამ იმ მოთხოვნებზეც გააკეთა განცხადება, რომლითაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარკვეულმა სტრუქტურებმა უკვე მიმართეს.

2020 წლის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მთავარი ფინანსური დოკუმენტის განხილვას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია და მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, დავით ბახტაძე ესწრებოდნენ.

ევროპის ტესტირების კვირეული სამტრედიაში

22 და 29 ნოემბერს ევროპაში აივ ინფექციისა და C ჰეპატიტზე ტესტირების კვირეული აღინიშნება. აქციის ფარგლებში მთელ ევროპაში სამოქალაქო საზოგადოება, ჯანდაცვის ორგანიზაციები, სამედიცინო პერსონალი, პოლიტიკოსები ერთიანდებიან და მიმართავენ ძალისხმევას იმისთვის, რომ, რაც შეიძლება, მეტმა ადამიანმა შეიტყოს საკუთარი აივ და C ჰეპატიტის სტატუსის შესახებ. ეს ინიციატივა 2013 წლიდან დაიწყო და მასში ყოველწლიურად ასობით ორგანზიაცია მონაწილეობს.

ევროპის ტესტირების კვირეულს "ზიანის შემცირების საქართველოს ქსელიც" უერთდება. აღნიშნული კვირეულის ფარგლებში მობილური ამბულატორიის მეშვეობით არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალი გზა" სამტრედიის ცენტრმა უფასო ტესტირება ჩაატარა C ჰეპატიტსა და აივ ინფექციაზე.

მანამდე მობილურმა ჯგუფმა უფასო სამედიცინო გამოკვლევები 22 ნოემბერს დაიწყო და 29 ნოემბრის ჩათვლით 120 ბენეფიციარს ჩაუტარა ტესტირება. C ჰეპატიტის 10 დადებითი შემთხვევა გამოვლინდა, რაც შეეხება აივ ინფექციას დადებითი შემთხვევა არ გამოვლენილა.

ნინო ნანიტაშვილი

მასწავლებლის საპენსიო ჯილდოს მეორე ეტაპიც დასრულდა

საჯარო სკოლაში დასაქმებული, საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის ფულადი ჯილდოს მისაღებად რეგისტრაცია 29 ნოემბერს დასრულდა.

შეგახსენებთ, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანებით 2019 წლის ზაფხულში განისაზღვრა საჯარო სკოლაში დასაქმებული საპენსიო ასაკს მიღწეული პრაქტიკოსი მასწავლებლებისათვის ფულადი ჯილდოს გადაცემის წესი, პირობები, ეტაპები და ვადები.

პირველი ეტაპი პირველი სექტემრისთვის დასრულდა. სამტრედიის მუნიციპალიტეტში 106-მა პენსიონერმა მასწავლებელმა აიღო ფულადი ჯილდო. ეს თანხა სულ 932 471 ლარს შეადგენს. ყველა ამ კატეგორიის მასწავლებელს 1 ნოემბრისთვის ჩაერიცხათ ფულადი ანაზღაურება. რაც შეეხებათ მე-2 ეტაპზე დარეგისტრირებულებს, საპენსიო ჯილდოს ისინი იანვრის ბოლოსთვის მიიღებენ.

პრაქტიკოსი მასწავლებელი ნიშნავს პედაგოგს, რომელიც მოღვაწეობს სკოლაში, მაგრამ არ აქვს დადასტურებული საგნობრივი კომპეტენცია. ეროვნულმა საგამოცდო ცენტრმა სულ ახლახან დაასრულა პრაქტიკოსი მასწავლებლების გამოცდების მე-2 ეტაპი. პირველი ეტაპი ზაფხულში, ივლისში ჩატარდა.

ნინო ნანიტაშვილი

?!

ლევან გაბეჩავა

საქართველოში ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა არა მარტო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა, მსოფლიოც ცოტა არ იყოს შეაშფოთა.

ვიდრე ქვეყნის პირველი ლეიბორისტი ამერიკელ კონგრესმენებს ქვეყნის ხელისუფალთა უნიათობასა (მისი თქმით) და რუსეთის აგრესორობაში კიდევ ერთხელ არწმუნებს, პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, დეფაქტო ცხინვალის ხელისუფლების მიერ, უკანონოდ დაკავებული ექიმი ვაჟა გაფრინდაშვილი, წერილის დაწერის მომენტისათვის (21.11) კვლავ პატიმრობაში რჩება.

და მაინც რა ხდება საქართველოში?

აი კითხვა, რომელზედაც პასუხს წლებია ველით.

აღმასრულებელ ხელისუფლებაში ლამის ტრადიციად დამკვიდრებულ გადაადგილებებს უკვე საკანონმდებლო ორგანოც დაემატა და ჩვენდა გასაოცრად, ქვეყნის საზიანოდ პარლამენტშიც ვინ იცის რამდენჯერ მოხდა სპიკერატისა და კომიტეტების თავმჯდომარეების ცვალებადობა. ეს მაშინ, როცა კალენდარული და საბიუჯეტო წელი იწურება და ქვეყანა, ხელისუფალნი მომავალი წლის ბიუჯეტის პარამეტრების განსაზღვრით უნდა იყვნენ დაკავებულნი.

სახელმწიფომ პრიორიტეტად გამოაცხადა განათლების სფერო. უდავოა ქმედითი ნაბიჯებიც გადაიდგა ამ კუთხით, თუმცა საკვირველი და საოცარია ის, რომ თვეების წინ თანამდებობიდან გაშვებული განათლების მინისტრი ისევ განათლების მინისტრის სავარძელში აღმოჩნდა.

რატომ გავუშვით?

რატომ მოვიყვანეთ?

ესეც პასუხგაუცემელი კითხვებია.

თავის დროზე ექსპერტები და ანალიტიკოსები აანონსებდნენ, რომ არ იყო გამართლებული განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმისა და ახალგაზრდობის სფეროების ერთ სამინისტროში გაერთიანება, შედეგი სახეზეა.

ევროპას დაპირებები გავუცუდეთ, იმედები გავუცრუეთ და ქართველი კაცის, ქართველ პოლიტიკოსთა სიტყვის ძალაში ეჭვის შეტანის საბაბი მივეცით.

რეგიონებში ისევ პრობლემებია.

ვიწონებთ და ვაღიარებთ ყველა შესრულებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოს, ხელისუფლების მხრიდან ხალხის საკეთილდღეოდ გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს, მაგრამ რა ვუყოთ, ინტრიგნობა, გინდათ ოპოზიციონერობა უნდა დაგვბრალდეს თუ ვაღიარებთ, რომ ასტრონომიული სისწრაფით ხდება ფასების ზრდა მედიკამენტებზე, სურსათზე და ა.შ.?

ერთადერთი ინსტიტუცია საქართველოს ეკლესია იყო, ხალხი რომ პატივს სცემდა და იქედანაც საოცრებები გვესმის?!

ჩვენზე მლოცველი პატრიარქიც არ დავინდეთ?! მტერი გავახარეთ ამით.

რა დღეშია ეროვნული ვალუტა თვალნათლივ ვხედავთ. ყოველივე კი, უდავოდ ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე ახდენს უარყოფით გავლენას.

დაბოლოს, ხალხს ნაკლებად აინტერესებს ვინ იქნება პარლამენტის დარგობრივი კომიტეტებისა და ა. შ. თავკაცები. ხალხს კანონმდებელთა მიერ მიღებულ კანონთა მოქნილობა, ქვეყნის რეალობასთან შესატყვისობა უფრო აინტერესებს.

შეგვიძლია დავიმოწმოთ პრესტიჟული პერიოდული გამოცემები, რომლებიც ანშლაგით წერენ, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში 67-ჯერ მოხდა ამა თუ იმ მინისტრთა ცვალებადობა, ანუ გადაადგილება, გაშვება და ა.შ.

რა წინსვლაზე, რა აღორძინებაზეა ასეთ დროს საუბარი?

გაურკვეველ, გაუცნობიერებელ ვითარებაში ვიმყოფები(თ), ეს წერილიც ამის შედეგია.

მორიგი აღიარება, გამარჯვება, გამოწვევა

ლევან გაბეჩავა

დიახ, ევროინტეგრაციისაკენ, ევროპულ სტრუქტურებში გაწევრიანებისაკენ გადადგმულ კიდევ ერთ უდიდეს პოზიტივად აღიქმება უდავოდ ის ფაქტი, რომ საქართველო ექვსი თვის განმავლობაში ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა იქნება. ოფიციალური ცერემონია ამ მოვლენასთან დაკავშირებით უკვე შედგა, რომელშიაც საქართველოს პირველი დიპლომატი დავით ზალკანიანი მონაწილეობდა.

ეს მაშინ, როცა დეფაქტო ცხინვალის მიერ უკანონოდ დაკავებული ექიმი, ვაჟა გაფრინდაშვილი კვლავ პატიმრობაში რჩება, ხოლო საქართველოს პრემიერის მუდმივი წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, ზურაბ აბაშიძე მის რუს კოლეგასთან, კარასინთან მორიგი შეხვედრისათვის ემზადება.

ქვეყნის მთავარ მოედანზე კი, აქციები კვლავ მიმდინარეობს. მმართველი გუნდი აქციებს დემოკრატიისათვის ჩვეულებრივ, დამახასიათებელ მოვლენად აღიქვამს. ხალხი კი, ბობოქრობს და აქციების კიდევ მეტი სიმძაფრით იმუქრება.

როგორც ერთი მოქალაქე, აშკარად ვემიჯნები ყოველგვარ ძალადობას, აგრესიას, სიცრუის ტირაჟირებას, თუმცა მოვლენათა რეალური აღქმის უნარი, როგორც პოზიციას, ისევე საპარლამენტო და პარლამენტს გარეთ დარჩენილ ოპოზიციას რომ აუცილებლად უნდა გააჩნდეს ცხადზე უცხადესია.

არანაირი პრეტენზია არ გვაქვს პოლიტიკოსობაზე, მით უფრო ანალიტიკოსობაზე, მაგრამ არ უნდა ვცდებოდეთ თუ ვიტყვით, რომ აქციებისა და საერო თუ საეკლესიო ხელისუფლებაში დაძაბულობის ფონზე, ქვეყნის ნორმალური არა თუ წინსვლა, განვითარებაც რომ ფერხდება.

მიუხედავად იმისა, რომ კიდევ ერთი კალენდარული წლის ბოლოს, მომავალი წლის ბიუჯეტზე იყოს აქცენტირება გადატანილი და მასში მასების ჩართულობა დემოკრატიული პრინციპების მოთხოვნით ხდებოდეს, ქვეყანაში ემოციური ფონი იზრდება.

ბოლო წლებში განვითარებული მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, რიგი შემთხვევების გარდა, პოლიციელებისადმი სამდურავი საზოგადოებას ნამდვილად არ გვეთქმის, თუმცა 27 ნოემბერს ღამით ცაგერში, სოფელ ლაჯანაში მომხდარი ინციდენტი, რომლის დროსაც 2 პოლიციელი დაიღუპა, ნამდვილად შოკის მომგვრელია.

და ისევ ევროპა.

საქართველო ექვსი თვის მანძილზე ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა იქნება. უდიდესი საერთაშორისო გამოწვევა და აღიარება ჩვენი ქვეყნის კიდევ მეტი სტაბილურობის გარანტად და წინაპირობად უნდა იქნას აღქმული მთელი ქვეყნისათვის, საქართველოში მცხოვრები თითოეული ადამიანისათვის.

საქართველოს ისტორიული რეალობის გათვალისწინებით არასოდეს შეურცხვენია თავი ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს წინაშე, პირიქით, ყოველთვის ხელშესახები და წონადი იყო მცირე ქვეყნის შვილთა დიდი საქმენი საგმირონი.

ვიმედოვნებთ ამჯერადაც ასე იქნება და საქართველო, ქართველი დიპლომატები, მთელი ერი ღირსეულად გავართმევთ თავს ამ უდიდეს პატივს, გამოწვევასა და აღიარებას.

ისევ პრივატიზაციაზე, ტენდერებსა და . . .

ლევან გაბეჩავა

არცთუ დიდი ხნის წინათ ქვეყანაში განხორციელებული პრივატიზაციის საყოველთაო უარყოფით შედეგებზე დღეს ბევრი საუბრობს ხმამაღლა. ისინიც კი, პროცესს თავად რომ წარმართავდნენ.

არა, სულელი არავის ვეგონო(თ) ვიცით, შეუქცევადი რომ იყო მაშინ ეს პროცესი, მაგრამ საქმე ისაა, რომ კანონი პრივატიზაციის შესახებ, ქართველებმა ქართველურად მოირგეს, შედეგად კი, გამდიდრდნენ ერთეულები, გაღატაკდნენ ასეულები.

ბევრგან ისე გათავხედდნენ, რომ კონკრეტულ ორგანიზაციებში, 40-45 წლის ნამსახურევი სტაჟის მქონე თანამშრომლებს შრომის წიგნაკებიც კი არ ჩააბარეს ისე გაისტუმრეს იმ საწარმოებიდან, ფაბრიკა-ქარხნებიდან, თითოეულს მეორე ოჯახად რომ მიაჩნდათ. რაც იყო, იყო, უკეთ, შესაძლოა უფრო მწვავედაც ამ საკითხზე სხვებიც დაწერენ უეჭველად.

ამჯერად, კიდევ ერთი კალენდარული წლის მიწურულს, ისევ და ისევ იმ სოციალურად დაუცველ ადამიანთა ბედზე გვსურს ყურადღების აქცენტირება, ჩვენი საზოგადოების უღირსეულესი, უზომოდ პატივსაცემი წევრები რომ არიან და, გარემოებათა გამო, უფასო სასადილოების ბენეფიციარები გახლავან, ასევე მათზე, კვირაში რამდენიმე პურს რომ ღებულობენ სახელმწიფოსგან. საოცარი და საკითხავი უპირველესად ისაა, რამდენად სამყოფია ერთი ადამიანისთვის კვირაში 2-3 გინდათ 6 პური, მაგრამ საქმე ისაა, რომ ბოლო არა ერთი და ორი წელია ამ ადამიანებს ყოველი წლის ბოლოს იძულებით შიმშილი თუ არა, კვირაობით, თვეობითაც კი უწევთ ბოძებული პურის გარეშე ყოფნა.

მიზეზი?

უნდა ჩატარდეს ტენდერი, გამოვლინდეს გამარჯვებული, ვინც უფლებას მოიპოვებს პურით (პროდუქტებით) მოამარაგოს ბენეფიციარები?! ეს მაშინ, როცა საბედნიეროდ ჩვენს ქალაქში ყოველი ხელის გაწვდენაზეა პურის საცხობები. არაერთხელ, უკვე მერამდენედ დავწერეთ ამ თემაზე, მაგრამ.

როდემდე უნდა შევხვდეთ ადმინისტრაციული სახლის პირველ სართულზე ზაფხულის ხვატსა და ზამთრის სუსხში პურის მომლოდინე ჩვენს თანაქალაქელებს და მერამდენედ უნდა მოვისმინოთ მათი ჩუმი, მოკრძალებული, თუმცა, უაღრესად მართებული საყვედურები?

ყველაზე საოცარი და საკვირველი ისაა, რომ ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როცა ყველანი ხმამაღლა ვსაუბრობთ ადამიანთა უფლებების დაცვაზე, მათი ღირსებებისადმი პატივისცემასა და სხვა ამაღლებულ (ევროპულ) ღირებულებებზე, სინამდვილეში კი, რეალობა ასეთია.

სხვა (შესაძლოა მომდევნო) წერილის თემაა ტენდერში გამარჯვებული, სოკოებივით მომრავლებული სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ხარისხი თუ უხარისხობა.

დაბოლოს, ისევ და ისევ თხოვნით მივმართავთ მათ, ვისაც ხელეწიფება, თანამდებობრივად ევალება ამ საკითხების მოწესრიგება. როგორმე მომავალი წლის დასაწყისიდან მაინც უზრუნველყონ ბენეფიციართათვის პურის დროული, შეუფერხებელი მიწოდება. შესაბამისი კატეგორიის ბენეფიციართა უფასო სადილით ასევე შეუფერხებელი გამასპიძლება. არავინ ვიცით, ვის რას გვიმზადებს არსთა გამრიგე და ვინ როდის, სად აღმოვჩნდებით.

P. S. პურის მიმღებთა შორის სხვადასხვა წლებში გვინახავს რაიკომის ყოფილი მდივნები, სასოფლო-საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეები, ღვაწლმოსილი პედაგოგები და ა. შ.

სანიმუშონი!

თეა ბაბუნაშვილი

ქუთაისის პირველ სკოლა-გიმნაზიაში, სადაც ბევრ ისეთ ქართველს მიუღია პირველადი განათლება, მერე ქვეყანას შორის რომ გაუთქვეს სახელი, განსაკუთრებული მზადება იყო. და იმიტომ, რომ იმ დღეს აქ იმერეთის რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტიდან ისეთი მოსწავლეები იკრიბებოდნენ, ამ სკოლაში ღირსეული ქართველების დაწყებული ესტაფეტა რომ უნდა გააგრძელონ. წარჩინებული სწავლისა და საუკეთესო აკადემიური მოსწრებისთვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 1200 ლარის ღირებულების "HP" ფირმის პორტაბელური კომპიუტერები მათ საჩუქრად გადასცა.

ქუთაისის შემდეგ წარჩინებულ მოსწავლეთა რაოდენობით სამტრედია წელსაც პირველი გახლდათ 77 სანიმუშო მოსწავლით. ისევე როგორც გასულ წლებში, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიც ერთადერთი პასუხისმგებელი პირი იყო მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებიდან, მოსწავლეებს დაჯილდოებაზე რომ ახლდა. ქუთაისის მერ გიორგი ჭიღვარიასა და იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე იოსებ ხახალეიშვილთან ერთად მან სამტრედიელი მოსწავლეების დაჯილდოებაში მიიღო მონაწილეობა და აღნიშნა: "შემამაყება ეს ახალგაზრდები! ისინი ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე არიან, მათზეა ჩვენი და ჩვენი სამშობლოს მომავალი. ვიმედოვნებ, მთელი ცხოვრება ისეთი ღირსეულები იქნებიან, როგორებიც დღეს არიან და ერთიც, შეეძლება ჩვენს ქვეყანას ღირსეულად დააფასოს ყველა ის მოქალაქე, მას რომ წარმოაჩენს და ასახელებს! არ შეიძლება ამ ბავშვების გამო მადლობა არ გადავუხადო მათ სკოლასა და პედაგოგებს, აგრეთვე მათ მშობლებს. ბუნებრივია, ყველა მათგანს ერთად ლომის წვლილი მიუძღვით ამ ბავშვების ნიჭის გამოვლენასა და მიღწევებში."

ყველაზე მეტი, 14-14 წარჩინებული მოსწავლე სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან მე-4 და მე-11 საჯარო სკოლებს ჰყავდათ. გარდა ამისა, სამტრედია გამორჩეული იმითაც გახლდათ, რომ წარჩინებულებს შორის ოთხი კადეტთა სკოლის მოსწავლე ჰყავდა. ეს იმას ნიშნავს, რომ დადა ახობაძემ და დიმიტრი ოკრიბაშვილმა მესამე საჯარო, ზურიკო კაცაძემ მეოთხე საჯარო, ხოლო ბექა გიორგაძემ მეათე საჯარო სკოლებიდან, მშობლიურ სკოლებში 9 კლასის დასრულების შემდეგ სწავლა კადეტთა ლიცეუმში გააგრძელეს. ვაჟები უფრო გასაგებია, სამშობლოს ღირსეული დამცველები გვინდა გავხდეთო, ამბობდნენ. ნაზი, ქალური დადა ახობაძის შემთხვევაში კი ბევრს გაუკვირდა მისი გადაწყვეტილება. საკუთარ რაიონში კარგად ცეკვა-სიმღერით, არტისტულობით ცნობილმა სიფრიფანა გოგო დადა ახობაძემ საკუთარი მტკიცე გადაწყვეტილება ასე ახსნა: "რატომაც არა! მე ქალი ვარ და ქალებმა, დედებმა ყველაზე უკეთ იციან მშვიდობის ფასი, რადგან დედა და მეუღლე სიყვარულისთვისაა გაჩენილი. მე არა ომისთვის, არამედ მშვიდობისთვის გავხდი კადეტი და ომით კი არა, მშვიდობით მინდა დავიცვა ჩემი ქვეყანა, რათა უღრუბლო ცა ჰქონდეს ყველა შვილს და ყველა დედას. ეს გადაწყვეტილება კადეტთა სკოლის დათვალიერების შემდეგ მივიღე. ერთდღიანმა ექსკურსმა ამ სკოლაში გადაწყვიტა ჩემი დღევანდელობა. თუმცა ახლა აქ ჩემი მშობლიური მესამე საჯარო სკოლისა და მისი პედაგოგების დამსახურებით ვდგავარ და უპირველესად მათ მინდა ვუთხრა მადლობა ამისათვის." გარდა ამ წარჩინებული კადეტებისა, სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან კიდევ ორი გოგონა, მარიამ კაცაძე და ნინი კვერნაძე არიან კადეტთა ლიცეუმის მოსწავლეები.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის ფუნქციების შემსრულებელი ელენე ბოხუა და სპეციალისტი ელიზა ცხვირავაშვილი ცალკეული სკოლების წარმომადგენლებთან ერთად იმ დღის სიხარულს სხვებზე მეტადაც იზიარებდნენ. "ამაყი ხარ ამდენ წარჩინებულ მოსწავლეს რომ უყურებ და იცი ისინი შენს ქალაქს და მუნიციპალიტეტს წარმოადგენენ. გვეიმედება ისინი და მინდა ერთი ათად იქცნენ, ყველა წელს კიდევ უფრო გაიზარდოს მათი რაოდენობა." – ამბობდა ელიზა ცხვირავაშვილი.

ეს სასიამოვნო დღე კადრებად ბევრ ფოტოზე აღიბეჭდა, მით უმეტეს, რომ იმ სახელოვანი ტრადიციების მქონე სკოლა-გიმნაზიასთან ის ბავშვები იყვნენ, სწავლასა და შრომაში მიღწეული წარმატებების გამო სულ მალე მათთან სამახსოვრო ფოტოს გადაღების უამრავი მსურველი რომ ეყოლებათ.

“მთავარია, ქვეყანა მშვიდად მივიყვანოთ 2020 წლის ოქტომბრამდე”

ნინო ნანიტაშვილი

“მთავარია, ქვეყანა მშვიდად მივიყვანოთ **2020** წლის ოქტომბრამდე”

“ლელო”, ხაზარაძე-ჯაფარიძის საზოგადოებრივი მოძრაობა, ოქტომბერში პოლიტიკურ პარტიად გადაიქცა; მიზანი 2020 წლის არჩევნების მოგებაა. მოძრაობის ვექტორი “ლელოს” დასავლეთისკენ აქვს მიმართული; მართვის სტილი ჰორიზონტალური _ აქცენტით გუნდურობა. დაპირების თანახმად მამუკა ხაზარაძე ყველა სფეროდან 12 ლიდერს შემოიკრებს. მოძრაობაში გაწევრიანებულები იქნებიან ისინი, ვინც სხვადასხვა დარგში წარმატებას უკვე მიაღწია.

პოლიტიკურ მოედანზე გადასვლის შესახებ “თიბისი ჯგუფის” დამფუძნებელმა საჯაროდ პირველად 3 თვის წინ განაცხადა, მაშინ როდესაც პროკურატურას მის წინააღმდეგ გამოძიება ფულის გათეთრების მუხლით უკვე დაწყებული ჰქონდა. ამ საქმეს თავად მამუკა ხაზარაძე მთავრობის მხრიდან ანაკლიის პროექტის მშენებლობის ჩაშლის მცდელობას უკავშირებს.

მამუკა ხაზარაძე დედაქალაქსა და რეგიონებში მხარდამჭერებს იკრებს და აქტიურად ემზადება 2020 წლისთვის.

რამდენიმე დღის წინ “ლელოს” დამფუძნებელი სამტრედიაში იმყოფებოდა, სადაც მან თავისი პოლიტიკური გაერთიანების სამომავლო გეგმებზე ისაუბრა და “ლელოს” იმერეთის წევრები წარადგინა.

“სამტრედიის მაცნე” რამდენიმე კითხვით დაუკავშირდა ამჟამად თბილისში მოღვაწე წარმოშობით სამტრედიელ ახალგაზრდას, რომელიც წარმატებულ საადვოკატო საქმიანობას ეწევა. პროფესიით სამართალმცოდნე თორნიკე ართქმელაძე პოლიტიკურ მოღვაწეობას “ლელოდან” იწყებს.

_ პირველ რიგში მაინტერესებს, რატომ გადაწყვიტე “ლელოში” გაწევრიანება?

_ “ლელო” არის ახალი ძალა, რომელსაც რეალურად შეუძლია ქვეყანაში პოზიტიური ცვლილებების მოხდენა. აქ არის პროფესიონალთა გუნდი, რომლის თითოეულმა წევრმა საკუთარ სფეროში დაამტკიცა მისი პროფესიონალიზმი. ეს გუნდი არ შეკრებილა ვიღაცის, კონკრეტულად რომელიმე მმართველი ძალის წინააღმდეგ, აქ შევიკრიბეთ იმიტომ, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ქვეყანა ყველა მიმართულებით ჩიხშია შესული. დიდი ხანია მასში ეკონომიკური სტაგნაციაა, პრაქტიკულად არ გვაქვს სასამართლო სისტემა, პროკურატურა კი პოლიტიკური დაკვეთების შემსრულებელი სტრუქტურაა. ამ ყველაფრის ფონზე კრიმინალი ყოველდღე იზრდება, რასაც ამ ქვეყნის თითოეული მოქალაქე საკუთარ თავზე ცდის. ყველა სახელმწიფო ინსტიტუტი ჩამოშლილია, ხოლო ქვეყანაში დამყარებულია ავტოკრატიული რეჟიმი, როდესაც ერთი ადამიანი მართავს ხელისუფლების სამივე შტოს. ახლა არის მომენტი, ან ამ ყველაფერს შევცვლით, ან ქვეყანა დიდი ხნით ჩიხში შევა და ეს სტაგნაცია, პრაქტიკულად შეუქცევადი გახდება.

_ რატომ გადაწყვიტე პოლიტიკაში წასვლა?

_ რთული კითხვაა და გამიჭირდება მარტივი პასუხის გაცემა, რადგანაც ეს დაგეგმილი ნამდვილად არ მქონია. ძირითადი მიზეზი არის ის, რომ უბრალოდ, იძულებული ვიყავი ეს ნაბიჯი გადამედგა. წლებია, ადვოკატი ვარ და ყოველდღიური შეხება მაქვს სამართლებრივ სისტემასთან. შესაბამისად, ყოველ დღე ვხედავდი იმ უსამართლობას, რაც სასამართლო დარბაზებში ხდებოდა. რაღაც მომენტში მივხვდი, რომ მარტო სასამართლო დარბაზებში ადამიანების ინტერესების დაცვა საკმარისი არ არის, რადგანაც სასამართლო უკეთეს შემთხვევაში არაკომპეტენტურ გადაწყვეტილებებს იღებს, უარეს შემთხვევაში კი მასზე ზეგავლენას სახელმწიფო ან “პრივილეგირებული” ადამიანები ახდენენ. როდესაც ვსაუბრობ ინსტიტუციების რღვევაზე, პირველ რიგში ვგულისხმობ სასამართლო ხელისუფლებას, რადგანაც, თუ ქვეყანაში არ არის ადგილი, სადაც ადამიანები მივლენ და სიმართლეს იპოვნიან, ასეთ ქვეყანაში ვერც მოქალაქე იგრძნობს თავს დაცულად და არც ინვესტორი შემოვა. ალბათ, ეს იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც ეს ნაბიჯი გადავდგი. ძალიან რთული აღმოჩნდა უსამართლობის ყოველდღე საკუთარი თვალით ყურება.

_ განსხვავებულს რას სთავაზობს “ლელო” საზოგადოებას? რა არის მთავარი ნიშა, რითაც ის განსხვავდება სხვა ძალებისაგან?

_ სხვაობა საკმაოდ თვალშისაცემია და ჩვენს სათქმელს მალე ყველა მოქალაქემდე მივიტანთ. საქართველოში, როგორც წესი, პოლიტიკური პარტიები ადამიანებს აერთიანებენ ვიღაცის ან რაღაცის წინააღმდეგ. ასე იყო 2003 წელს, ასე იყო 2012 წელს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს მიდგომა არ არის სწორი. ჩვენ ვაპირებთ, ადამიანები გავაერთიანოთ იდეებისა და გეგმების ირგვლივ. რომლის მიხედვითაც დავსახავთ ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანის გეგმას. ამისათვის “ლელოში” თავს იყრის სხვადასხვა მსოფლმხედველობისა და გამოცდილების მქონე პროფესიონალი ადამიანი, რომლებიც ხედავენ ყველა პრობლემას, რომელთაც ეჩეხებოდნენ ყოველდღე თავიანთი საქმის განხორციელებისას. ძალიან მალე პროგრამას წარვუდგენთ საზოგადოებას, თუმცა პროექტთან მიმართებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მის შემუშავებაში სრულადაა ჩართული საზოგადოება. არ გვსურს, რომ სამოქმედო გეგმა და ხედვები დაიწეროს სადღაც კაბინეტში და შემდეგ გეგმის შემუშავება მიმდინარეობდეს მოქალაქეებთან ერთად. ის ზუსტად უნდა პასუხობდეს ყველა იმ გამოწვევას, რაც ამ ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ.

_ გადავიდეთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. რას იტყვი საარჩევნო სისტემის უცვლელად დატოვებაზე?

_ საქმე გვაქვს მსოფლიო დონის აფიორასთან. სიმართლე გითხრათ, ვერც კი ვიხსენებ, როდის და ვინ მოატყუა ისე საკუთარი ხალხი, როგორც ეს ამ ქვეყნის დეფაქტო მმართველმა გაკეთა. ივნისის აქციები სწორედ იმით “ჩაწყნარა”, რომ ახალგაზრდებმა მოვიპოვეთ (ყოველ შემთხვევაში ასე ვთვლიდით) მრავალწლის ნანატრი პროპორციული საარჩევნო სისტემა. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა 2012 წელს “ქართული ოცნების” საარჩევნო დაპირება იყო. თუმცა, როგორც სხვა მრავალი დაპირება, ისიც შეუსრულებელი დარჩა. მმართველმა ძალამ გვითხრა, რომ პოლიტიკოსთა სიტყვებსა და დაპირებებს არავითარი ძალა არ აქვს და ასე თვალსა და ხელს შუა, შეიძლება გაქრეს. ჩვენ თუ მიჩვეულნი ვართ საარჩევნო დაპირებების “აორთქლებას”, ეს მიუღებელია ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისათვის. შეგახსენებთ, რომ პროპორციულ სისტემაზე გადასვლა პრეზიდენტმა “გაეროს” ტრიბუნიდან გააჟღერა, ამაზე მაღალი ტრიბუნა კი მსოფლიოში არ არსებობს. სწორედ ამას მოჰყვა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების გაღიზიანება. აქ საკითხი არ დგას “ქართული ოცნების” რეპუტაციაზე, დიდი ხანია მათ ის დაკარგეს, ამჯერად მათ ქვეყანას სახელი საერთაშორისო ასპარეზზე შეულახეს და “გადამგდები” ქვეყნის სახელი გვეწოდა.

_ თვლით, რომ სიტუაცია ჩიხურია. სად ხედავთ გამოსავალს?

_ გამოსავალი “ლელომ” უკვე შესთავაზა საზოგადოებას და ხელისუფლებას ე. წ. გერმანული მოდელის შეთავაზებით, რაც გულისხმობს შემდეგს: მაჟორიტარული წესით ჩატარდება არჩევნები 73-ვე ოლქში და პირველ რიგში სწორედ მაჟორიტარები შევლენ პარლამენტში. რაც შეეხება პროპორციული წესით გასანაწილებელ 77 მანდატს, ის, რა თქმა უნდა, პროპორციულად გადანაწილდება, თუმცა მთავარი დათქმით, თუ მაჟორიტარების რაოდენობა აჭარბებს პროპორციულ არჩევნებში დაფიქსირებული შედეგების პროპორციას, ეს პარტია პროპორციული წესით ვეღარ შეიყვანს დეპუტატს პარლამენტში, მარტივად რომ ავხსნათ, ვთქვათ, პარტიამ მოიგო ყველა მაჟორიტარული ოლქი, ხოლო პროპორციულ არჩევნებში მიიღო ხმათა 50%, ასეთ შემთხვევაში პარლამენტში შევა ყველა მაჟორიტარი, ანუ 73 ადამიანი, ხოლო, რადგანაც პროპორციულ არჩევნებში პარტიამ ხმათა ნახევარი მიიღო, პარლამენტში ნახევარზე ნაკლები ჰყავს შეყვანილი, პროპორციული სისტემით მას დაემატება 2 მანდატი. პარლამენტში წარმოდგენილი იქნება სწორედ იმ პროპორციით (50%-ით) რა მხარდაჭერაც მან მიიღო პროპორციულ არჩევნებში. შესაბამისად, თუ პარტიას სურს უმრავლესობის (76 მანდატის) მოპოვება, მას 50%-ზე მეტი ხმის მოგროვება მოუწევს, რაც ლოგიკურიცაა. გავიხსენოთ, რა მოხდა 2016 წელს: “ქართულმა ოცნებამ” 47% მიიღო, თუმცა მათ ერგოთ საპარლამენტო მანდატების თითქმის 80%, რაც მარტივად რომ ვთქვათ, უსამართლობაა. ამავე მეთოდს მიმართა წინა ხელისუფლებამაც. მსურს შეგახსენოთ, 2012 წლის არჩევნები, როდესაც არჩევნების შედეგების გამოცხადებისას პრეზიდენტმა საკაშვილმა განაცხადა, რომ, მართალია, მათ 40%-ის მხარდაჭერა მიიღეს, მაგრამ მაჟორიტარებით აპირებდნენ უმრავლესობის შექმნას პარლამენტში. მაშინ მათ ეს არ გამოუვიდათ.

_ თუმცა, ხელისუფლების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ეს სისტემა კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. რას იტყვით ამაზე?

_ სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ _ ეს არის ტყუილი. კონსტიტუციაში წერია, რომ საქართველოს პარლამენტში უნდა შევიდეს 73 მაჟორიტარი, ხოლო 77 პროპორციული წესით არჩეული დეპუტატი. როგორ და რა წესით მოიპოვება ეს მანდატები, გაწერილია კანონში და არა კონსტიტუციაში. შესაბამისად, სურვილის შემთხვევაში ხელისუფლებას უბრალო უმრავლესობით შეუძლია ეს ცვლილება გაიტანოს. ახლა ისინი დაკავებულები არიან საზოგადოების მოტყუებით, თითქოსდა ეს მოსაზრება კოსტიტუციას ეწინააღმდეგება. ამით ნათლად დასტურდება ის, რომ არავითარი “მაჟორიტარების აჯანყებას” ადგილი არ ჰქონია და ეს ყველაფერი კარგად დაგეგმილი საუკუნის აფიორა იყო. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, 2020 წელს “ქართული ოცნება” ოპოზიციაში აღმოჩნდება, თუკი ეს ძალა საერთოდ შენარჩუნდა მომდევნო არჩევნების შემდეგ, რადგან ნებისმიერი სისტემის ფარგლებში მათი ფიასკო გარდაუვალია. მთავარია, ქვეყანა მშვიდად მივიყვანოთ 2020 წლის ოქტომბრამდე!

ბაღებში 2020 წლის შესაგებებლად ემზადებიან

სამტრედიის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება საახალწლო ღონისძიებებისთვის მზადებას იწყებს. ეს დრო პატარებს განსაკუთრებულად უყვართ. გაერთიანება უკვე საახალწლო ტკბილეულზე ტენდერის გამოსაცხადებლად ემზადება, რომელიც ყველა ბავშვს დაურიგდება. ახალ წლამდე გარემონტდება №5 და №9 ბაგა-ბაღის ჯგუფები. ასევე, №3 ბაგა-ბაღში მოგვარდება წყლის პრობლემა.

რაც შეეხება მომავალი წლის ბიუჯეტს საბავშვო ბაღებისთვის 1 936 000 ლარია განსაზღვრული.

როგორც სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ხათუნა გაგუა ამბობს: “ოცდაოთხივე საბავშვო ბაღში დაიწყო წინასაახალწლო მზადება. ყველგან დაიდგმება საახალწლო ნაძვის ხე და ჩატარდება ღონისძიებები. მჯერა, გასულ წლებთან შედარებით ბევრად უკეთესად მომზადებულები შევხვდებით ახალ წელს”.

ნინო ნანიტაშვილი

გომის სამუსიკო სკოლა წარმატებებს ითვლის

ნინო ნანიტაშვილი

12 დეკემბერს ერთი წელი შესრულდა პიროსი თავაძის გარდაცვალებიდან. ჩვენს ქალაქში საზოგადოება მას ალეკო თავაძეთი და იმ კარგი ადამიანობით იცნობდა, რითაც გომის სამუსიკო სკოლის დირექტორი სხვებისგან გამოირჩეოდა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე დიდი თემის და სოფლის სამუსიკო სკოლათა შორის ყველაზე მაღალკონტინგენტიან დაწესებულებას ალეკო თავაძე დაარსების დღიდან, დაახლოებით 3 ათეული წელი ხელმძღვანელობდა.

გარდაცვლილ კოლეგა-ზე "სამტრედიის მაცნესთან" დიდი სიყვარულით საუბრობენ ქალბატონები, ქეთევან მეფარიშვილი და თამარ ხურცილავა, რომლებიც ალეკო თავაძის ღირსეულად დაწყებულ საქმეს ასევე ღირსეულად განაგრძობენ.

ქეთევან მეფარიშვილი 2018 წლის დეკემბრიდან გომის სამუსიკო სკოლის დირექტორად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიანე ფოცხვერიას ბრძანებით დაინიშნა. გომის სამუსიკო სკოლა განსაკუთრებულად გრძნობს მუნიციპალიტეტის პირველი პირის მხარდაჭერას: "უმადური უნდა იყოს ადამიანი, ვინც ქვეყანაში, მათ შორის ჩვენს მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში კულტურაზე დახარჯულ სახსრებს ფასს არ დაადებს. ბიუჯეტი თანხას იხდის მასწავლებლების ხელფასებისთვის. სამუსიკო სკოლაში მუსიკით დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის ნორმალური სასწავლო გარემოა შექმნილი. უფრო მეტიც, 2020 წლისთვის გომის სამუსიკო სკოლის შენობის რეაბილიტაცია იგეგმება. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 17 900 ლარი. ეს უკანასკნელი მოხმარდება ელექტრო გაყვანილობის ქსელის მოწესრიგებას, შენობის რემონტს. გამოიცვლება კარ-ფანჯარა, თანამედროვე სტილის საკონცერტო დარბაზი გაკეთდება.

ამდენად, ვისარგებლებთ შემთხვევით და თქვენი გაზეთის ფურცლებიდან კიდევ ერთხელ გადავუხდით მადლობას ვალერიანე ფოცხვერიას და პირობას ვიძლევით, დავაფასებთ ამ თანადგომას".

გომის სამუსიკო სკოლა თავის დანიშნულებას რომ სასახელოდ ამართლებს, ამაზე სამუსიკო სკოლის აღსაზრდელების მიერ სხვადასხვა დროს სხვადასხვა კონკურსებში მიღებული წარმატებები მეტყველებს. კერძოდ, 2017 წელს სენაკის მუსიკალური ფესტივალიდან პედაგოგ თამარ ხურცილავას მოსწავლეებმა: თომა ქვაჩახიამ, მათე ქვაჩახიამ და ნიკოლოზ ბაღათურიამ სამი დიპლომი ჩამოიტანეს. მათ ვალერიანე შიუკაშვილი მოხიბლეს და ჟიურის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ფესტივალის ფავორიტები გახდნენ.

თამარ ხურცილავა, გომის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო კლასის პედაგოგი: "2014 წლიდან ვმუშაობ გომის სამუსიკო სკოლაში, ალეკო თავაძეს ვიცნობდი პირველი სამუსიკო სკოლიდან, სადაც ერთად თითქმის 20 წელი ვიმუშავეთ. როგორც კოლეგა, როგორც ადამიანი საუკეთესო იყო. ქეთევან მეფარიშვილთან 40 წლიანი მეგობრობა მაკავშირებს. სამუსიკო სკოლაში შექმნილია ყველა პირობა, მუსიკით დაინტერესებულ ბავშვებს ხელოვნების ეს დარგი შევაყვაროთ. გაინტერესებთ, ალბათ, როგორი თაობა მოდის _ კომპიუტერის ხანამ ბავშვი წიგნს და ინსტრუმენტს ჩამოაშორა. ამდენად, ვთვლი, რომ ძალიან დასაფასებლები არიან ის ბავშვები და მათი მშობლები, რომლებიც მუსიკისადმი ინტერესს იჩენენ. ამიტომ, ჩვენ არ ვზოგავთ თავს და ძალას, ეს თაობა მუსიკის მაღალ ხელოვნებას ვაზიაროთ, რაშიც ქეთევან მეფარიშვილი ხელს გვიწყობს".

გომის სამუსიკო სკოლაში 85 მოსწავლეა. თემში შემავალი თითქმის ყველა სოფლიდან დადის აქ ახალგაზრდობა. კვირაში მათ სამი დღე აქვთ სამეცადინოდ.

სოფლის ბავშვების დაინტერესებიდან გამომდინარე, 2020 წლიდან სკოლაში ფასიანი ჯგუფები გაიხსნება ხალხური საკრავების, გიტარის და საესტრადო მუსიკის შესასწავლად.

დასკვნა

(პიროვნების დასახელებას შეგნებულად ვერიდები, პირობითად "იმანო")

ბორის ფოცხვერაშვილი

პიროვნება, რომლის შესახებაც უნდა მოგითხროთ, დღეს ცოცხალი აღარაა. ამ რამდენიმე წლის წინ იგი რაიონის ადმინისტრაციული ორგანოებიდან საკმაოდ სოლიდური სამსახურიდან, რიგ გადაცდომათა გამო დაითხოვეს. ამით განაწყენებულმა, გაბოროტებულმა ცხოვრებაში საკუთარი ადგილი ვერ იპოვა. ბოლოს იქამდე მივიდა, რომ ნაცნობებისაგან, რომელთა შორის მეც მოვიაზრებოდი, "პურის ფულის" თხოვნასაც არ თაკილობდა.

ერთხელაც, ბანკის სალაროსთან რიგში შევნიშნე ჩემს წინ მდგომი "იმანო", მოლარესაგან მოწოდებულ საკმაო ოდენობის დოლარის დათვლისას თანხის გადმომგზავნ პირთა მიმართ საყვედურს რომ გამოთქვამდა, მაგ დალოცვილებს ნამუსი აღარ აქვთ, გასამრჯელოს სისტემატიურად რომ მაკლებენო. ვერ მოვითმინე "იმანოს" მხარზე ხელი დავადე და მოვიკითხე. შეცბა, ისე დაიბნა, დოლარების ჩასადებად ჯიბესაც ძლივს მიაგნო. ამის შემდეგ ფულის თხოვნას კი არა, ჩემთან შეხვედრასაც გაურბოდა.

მეორე, საპირისპირო ფაქტიც რამდენიმე წლის წინ მოხდა, ჩემს მეგობართან, ხონის ნევროლოგიური საავადმყოფოს მაშინდელ მთავარ ექიმთან, ბატონ შალვა მგალობლიშვილთან სტუმრობის დროს, საავადმყოფოს ეზოში მყოფთ მათმა სამტრედიელმა პაციენტმა, ჩემს მიერ საჩუქრად გაწვდილ თანხაზე უარი მითხრა, ამდენი რად მინდა, ლარი და ოცი თეთრი მომეცი. ოთხნი ვართ, თითო ცალ "პერაშკს" ვიყიდითო და თან იქვე მდგომ ჯიხურზე მიმითითა.

სამტრედიელებს ალბათ კარგად ახსოვთ ქალაქში უწყინრად, განყენებულიად მავალი თავისთავთან ჩუმად მოსაუბრე ცალხელა პიროვნება, "ღამურად" რომ მოიხსენიებდნენ.

ახალგაზრდობაში ქურდული ტრადიციების მიმდევარს, იმისთვის, რომ შრომა-გასწორების კოლონიაში მყოფს სავალდებულო შრომისაგან თავი აერიდებინა, მარცხენა ხელის მტევანიც კი გადაუჭრია. ბოლოს ნერვიულადაც დაავადებულა და ხონის სპეციალიზირებული საავადმყოფოს ხშირი "სტუმარიც" გამხდარა.

გავიდა რამდენიმე წელი. ერთხელ, სამსახურში მისულს თანამშრომლებმა "ღამურას" მიერ მოტანილი ლარი და ოცი თეთრი დამახვედრეს, ბორიას ვალი მაქვს, ამდენი რომ დავუგვიანე ბოდიშს ვუხდიო _ უთქვამს.

დღეს ფულთან და ვალებთან დაკავშირებით ადამიანთა ურთიერთობაში ხშირად შექმნილმა დაძაბულმა ვითარებამ, რომელიც ზოგჯერ სავალალო შედეგითაც კი მთავრდება, წარსულის ეს ორი, საპირისპირო ფაქტი მომაგონა. როცა ზოგიერთნი, ფულით გაზულუქებულნი, მაინც მეტისა და მეტის მაძიებელნი, ყველაფრის მკადრებელ პიროვნებებად გვევლინებიან, რითაც სამწუხაროდ "იმანოდ" იქცევიან და ადამიანური ღირსებით "ღამურასთან" შედარებით ბევრად დაბალ დონეზე დგანან.

... და კვლავ მარტო ვარ მე ჩემს წინაშე

ნათია ნაცვლიშვილი

კომეტასავით გაიქროლა, საუკუნეების სამყოფი დიდება დაგვიტოვა, რაგინდ რა შეიცვალოს პოეზიაში, ის მაინც ლექსის მეფედ რჩება, რჩება მარტოსულ და დაუფასებელ გენიად. ოღონდ ეგაა: თანამედროვეთაგან არდაფასებულს მომავალი თაობები მიაგებენ პატივს. აკი თავად იწინასწარმეტყველა დიდება: ''ის ღმერთების სწორია და ქუხილის ნაქადი...'' სად, თუ არა გალაკტიონის საყვარელ სამტრედიაში, სად, თუ არა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში უნდა მოეწყოს მეფე პოეტის საიუბილეო ღონისძიება. მოსწავლეთა პარლამენტმა არც წლევანდელი 17 ნოემბერი დაივიწყა. ახალგაზრდული პარლამენტის წევრი ჯერ ჭყვიშს, ორპირის ფშანს ეწვივნენ, სადაც ორი ბუმბერაზი, ტიციანი და გალაკტიონი აღიზარდა, მერე კი, მყუდრო, სალონურ სივრცეში, გემოვნებიანი პუბლიკისთვის ლამაზი ლიტერატურული საღამო გამართეს. შემოდგომის ხმელი ჭადრის ფოთლები ეფინა იატაკზე, გია ყანჩელის, მუსიკის გალაკტიონის უკვდავი ''ყვითელი ფოთლები'' ჟღერდა მთელი საღამოს განმავლობაში.

საღამო ლუკა ტუღუშმა გახსნა ნაწყვეტით გალაკტიონის მოგონებიდან: ''არ მოვსწრებივარ ჩემს მშობელ მამას, მაგრამ მისივე ნაანდერძევი წიგნთსაცავიდან დედის რძესავით ამოვწურე პოეზიის ტკბილი ნექტარი''... მოსწავლეებმა მრავალი საინტერესო დეტალი გაიხსენეს თვითშეცნობილი გენიის ბიოგრაფიიდან. მათ შორის, მისი გარიცხვის მცდელობა მწერალთა კავშირიდან, როცა გაოგნებულ ფოფლა ლეონიძეს უკითხავს: რომ გავრიცხოთ, ამით მას რას დავაკლებთ? ან უკეთესი ვინ უნდა მივიღოთო? ხაზგასმით აღინიშნა ამ ორი დიდებული პოეტის განსაკუთრებული მეგობრობა, მხოლოდ გოგლა არ აკრიტიკებდა გალაკტიონის დამოკიდებულებას ღვინოსთან და ამდენად, გალაკტიონს ამის გამო, გოგლა ძალიან უყვარდა. მოსწავლეებმა შესანიშნავად წაიკითხეს გალაკტიონის პოეტური შედევრები. როგორც თავადვე თქვეს, გაეცვნენ დიდ ლიტერატურას, დაეყრდნენ ვახტანგ ჯავახაძისა და ნოდარ ტაბიძის უკვდავ მოგონებებს გალაკტიონზე. მათ განსაკუთრებული მადლობა სახლის დირექტორს, ტატა გოგუაძეს, მოსწავლეთა პარლამენტის კურატორს ელიკო ანკვაბს და სკოლა ''ცოდნის'' პედაგოგს, ლუიზა მიქაუტაძეს გადაუხადეს გაწეული შრომისათვის. ლამაზ ღონისძიებას კიდევ ერთი ახალი სახე შემოუერთდა _ მოსწავლე-ახალგაზრდობის კულტურულ ღონისძიებათა ორგანიზატორი, მარიამ ჯულაყიძე.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგური: ''ძალიან საინტერესო და სასიამოვნო საღამო იყო, თქვენთან სტუმრობით ყოველთვის მადლიერი და კმაყოფილი ვრჩები, ეს ყვითელი ფოთლები და აქაური გარემო შეუდარებელია, გადმოგცემთ ბატონი ნუგზარ ჯამბურიას მადლობასაც, რომელიც ობიექტურ მიზეზთა გამო ვერ შემოუერთდა ღონისძიებას.''

საგანმანათლებლო რესურცენტრის მთავარი სპეციალისტი, ალექსანდრე თევზაძე: ''თანამედროვე აგრესიისკენ, ძალადობისკენ მსწრაფ მსოფლიოში დღეს თქვენი მეშვეობით წარმოგვიდგა დიდი პოეტი, გალაკტიონი, ამაყები უნდა ვიყოთ ყველანი, რომ გვყავდა ასეთი შესანიშნავი პიროვნება, ის მსოფლიოს საკუთრებაა და მაინც, განსაკუთრებულად ჩვენია, შესანიშნავი მთარგმნელები უარს ამბობდნენ მისი პოეზიის თარგმნაზე, რადგან ძნელია ამ ბუმბერაზის შემოქმედებას უცხო სამოსელი მოარგო. ვამაყობთ თქვენით, ბავშვებო, რომ ასე გიყვართ პოეზია და მუდმივად ვითარდებით''.

ლევან გაბეჩავა გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' პასუხისმგებელი მდივანი: ''მადლობა ამ შესანიშნავ საღამოზე მოწვევისათვის, დაიწყეთ პუნქტუალურად და ერთი აკადემიური საათის განმავლობაში შესანიშნავად შესძელით გესაუბრათ იმ ამოუწურავ ფენომენზე, გალაკტიონი რომ ჰქვია. მადლობა, რომ გიყვართ გალაკტიონი''.

პოეტი ბექა ჩანტლაძე: ''ჩემთვის უდიდესი სამყაროა გალაკტიონი, გალაკტიონი განსაკუთრებულად გვიყვარს ყველას, უნდა ჩავუღრმავდეთ მას, კარგად გავიაზროთ, ის მოვლენა იყო, მსოფლიოსთვის, არა მარტო საქართველოსთვის, მოხარული ვარ, რომ ასეთი საღამო მიუძღვენით მას, მიხარია, რომ გიყვართ და კითხულობთ გალაკტიონს, არასოდეს შეწყვიტოთ კითხვა, არასოდეს იქნება მიღწეული საკმარისი''.

ახალგაზრდებს ასევე მიესალმნენ საკრებულოს წევრი მერაბ უდრელიძე და სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი, ლამარა დუნდუა, მათ წარმატებები უსურვეს საღამოს ყველა მონაწილეს.

ემიგრანტის ფიქრები

დღიურებიდან

როდის ჩამოხვედი? მეკითხება ახლად გაცნობილი ქართველი ემიგრანტი ჟანა, რომელმაც საერთო ახლობლის ოჯახში უნდა მიმიყვანოს. მე, ოფისიდან ძლივს გამოწეწილი, ახლად გამოჩეკილი ემიგრანტი, რომელსაც ერთი დასვენების დღე აქვს და გარბის სამეგობრო წრეში, რომ შეხვდეს მათ და გული გაიხაროს. გზადაგზა ზარია მის ტელეფონზე, შეკითხვით, სად ვართ. ავტობუსში ჩავსხედით. მომერიდა, რადგან ბილეთი არ მქონდა ნაყიდი, არც ვიცოდი როგორ, ან სად უნდა მეყიდა. დამამშვიდა ჟანამ, ორი ბილეთი აიღო და ჩემს ნაცვლად გაატარა აპარატში.

ამ ქვეყანას არ ვეწერე, ჯერ არაფერი გამეგებოდა ამ ქალაქის. გამოვკითხეთ ერთმანეთს პირადი ამბები, სად ვცხოვრობდით საქართველოში, რამდენი ხნით ვიყავით ჩამოსული და სახლში ვინ დავტოვეთ. ხმაში ცრემლი ჰქონდა. ყოველი წინადადების ბოლოს მეგონა, ტიროდა. დიდრონ, ლამაზ თვალებს სევდიანად აფახულებდა და ცრემლს იკავებდა. ცრემლები უფრო ხმაში შერეოდა, ყელში ბურთივით ეჩხირებოდა. მოვიხედე, ავტობუსში მხოლოდ ქართულად საუბრობდნენ. დროდადრო საათზე იხედებოდნენ, დროის სწრაფად გასვლას განიცდიდნენ. საღამოს მოსვლა სიკვდილივით არ უნდოდათ, არ უნდოდათ ისევ "ბადანტეთ'' დაბრუნება, მეგობრებთან ჩახუტება და მოფერება ქვეყანას ერჩიენათ ("ბადანტე'' აქ მომვლელს ნიშნავს). ხოდა, სანამ ავტობუსში ავიდოდით, ჩემმა თანამგზავრმა ინდოელების მაღაზიაში შემიყვანა, რაღაც-რაღაცეები იყიდა, ზოგი მე შემომაჩეჩა, ზოგი თავად დაიკავა და სალაროს მიადგა, საიდანაც შავი კანის ფერის ინდოელი ზრდილობიანად გვიღიმოდა. დაგვემშვიდობა, ქალბატონო მოაყოლა და გაიკრიჭა ყურებამდე. მე ყველაფერი მიკვირდა, ხოლო ჟანა უღიმღამოდ უღიმოდა და ავტობუსისკენ მივყავდი. დრო გადის, იქ დაბრუნება ჭირივით მეჯავრებაო, მშია ძალიანო, ბოდიშს მიხდის და პურს იღებს პარკიდან, მეც მაწოდებს. გთხოვ, ჭამეო. მე არ მინდოდა. ოფისიდან მშიერი არ წამოვსულვარ, ნასადილევი გამომიშვეს. დროულად გაამზადეს სადილი, სტუმრების დღე იყო. ყველა ამ ოფისიდან დასაქმებული ქალი მოდიოდა და ერთად იკრიბებოდნენ, ქართულ კერძებს მიირთმევდნენ, გადაიხდიდნენ წასვლისას თავის წილს, ანუ ერთ ევროს და დაღამებულში უბრუნდებოდნენ ლოკაციის ადგილს. უთვალავი "ბადანტე'' ერთად თავთავიანთი მოხუცების ოჯახებში ბრუნდებოდა. ბილეთი დავჯავშნეო, ჟანამ, აღარ შემიძლია მეტი, ამათი ატანა არა მაქვსო. ვერ

“... ისე ერთია გალაკტიონი”

ნათია ნაცვლიშვილი

“და მეც მოვდე სიმღერებში ტბის სევდიან გედად” _ დარბაზი გალაკტიონის ბუბუნა ხმის გაგონებისთანავე გაიებში შეკრებილ ინტელიგენტ ბატონებსა და მდიდრულად მორთულ ბანოვანებს სულს უთბობდა, თავად კი, ხშირად შემცირებული და მშიერი დადიოდა, მწერალთა კავშირს სთხოვდა პალტოს...

ბავშვებმა შესანიშნავად გაიხსენეს გალაკტიონის ბობოქარი ცხოვრება, მისი ცხოვრების მღელვარე და ემოციური დღეები. ძალიან კარგად წაიკითხეს პატარა დეკლამატორებმა მისი პოეტური შედევრები თუ დიდი პოეტისადმი მიძღვნილი ქართველ ავტორთა

რინდა. თითქოს აქ იყო, პოეტური გენია, აქვე, ამ ყვითელ ფოთლებთან... ამ შეკრებილი პატარა გოგო-ბიჭების ნათელ გონებას კი თან ახლად ლურჯა ცხენების გაჭენების თუ ეფემერების ქროლვის ხმა... მეფე-პოეტის 128 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებას მეორე სკოლის ბიბლიოთეკის მცირე დარბაზმა უმასპინძლა. დარბაზი იყო მცირე, თორემ საუბრის საგანი იყო შთამბეჭდავი და ყოვლისმომცველი. ოცდამეერთე საუკუნის ახალგაზრდები მეოცე საუკუნის გენიას იხსენებდნენ და სიამაყით წარმოსთქვამდნენ გალაკტიონის მიერ სამტრედიისადმი მიძღვნილ სტრიქონებს “შენთვის არავის უძღვნია ლექსი, რომ ვერ გამჩნევენ, ალბათ ბედია”... “ახალ წელს ვხვდები ჯიბეგაფხეკილიო, ოხრავდა პოეტთა მეფე, რომლის მომაჯადოებელი ლექსები დიდ თეატრლექსები. ასევე შეასრულეს პატრიოტული სიმღერები.

ღონისძიებას განსაკუთრებული ხიბლი შეჰმატა სკოლის ღირსეული პედაგოგის, მზია კირთაძის მოგონებამ გალაკტიონზე, ქალბატონი მზია მისი სტუდენტობის უბედნიერეს წუთებს იგონებდა, როცა მოულოდნელად, აღმაშენებლის გამზირზე, ერთ-ერთ ეზოში, ონკანთან მდგომი გალაკტიონი იხილა, რომელიც ახალ ლექსს კითხულობდა. მეორე მოგონება კი, ხალხით გადაჭედილ თბილისის ქუჩებს უკავშირდება, როცა “ყვავილების მდინარეს კუბო ცისკენ მიჰქონდა, იწვა გალაკტიონი და არვისზე ფიქრობდა”... სამტრედიელი პოეტის, საფრანგეთში მოღვაწე ბაჩანა ჩაბრაძის მიერ ფრანგულად თარგმნილი გალაკტიონის ლექსი “გაგონდება თუ არა კარალეთის დღეები” პოეტის დედამ, ილორის საჯარო სკოლის პედაგოგმა, გულიკო გოგიტიძემ წაიკითხა. გალაკტიონის ლექსზე შექმნილი თამარ გვერდწითელის უკვდავი სიმღერით “ეს სიმღერაა საქართველოსი” შესანიშნავი ღონისძიება დასრულდა... ღონისძიება მეორე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, ლია ჯანელიძემ მოამზადა, შევხედრას ბიბლიოთეკარი დალი

ოფმა საწარმოს ადმინისტრაციის უფროსმა, ლელა დიასამიძემ განუცხადა, ის მოიხიბლა შესანიშნავი ბავშვებით და წარმატება უსურვა მათ. სკოლის დირექტორმა, თეა კარტოხიამ მადლობა გადაუხადა ლამაზი და საინტერესო ღონისძიების ავტორებს და ბავშვებს ახლადგარემონტებულ ბიბლიოთეკის სივრცეში.

ერთგულება

შენი თეთრი სვიტერი
გეცვა როგორც ფარაჯა,
ჩემს ბავშვობას ედექი,
აღმზრდელად და დარაჯად.
რაც აკვნებთან დედათა,
ცრემლებია ნაშრობი,
უფალიც ხომ ამ ქვეყნად,
დედით იყო ნაშობი.
უფალს დედა უყვარდა,
როგორც წმინდა სანთელი,
დედის სუფთა თვალებში,
წყვდიადია ნათელი.
უფალს ქვეყნად ენება,
განთქმულიყო სახელი
და დედაზე ერთგულის
არვინ არის მნახველი.
რა ხანია დავდივარ,
დამაქვს შენი მე სევდა,
სახლში მისულს არ მხვდება,
ჩემი ჭაღარა დედა.

მერაბ ჩაჩავა

ძლებს ჩემი ქმარ-შვილი უჩემოდ. მართალია, ბევრი ვერაფერი ავიღე აქ ყოფნით, დიდხანს უმუშევარი ვიყავი, თუმცა მაინც ვერ გავჩერდებიო. იქვე მჯდომი ქართველი მგზავრი საუბარში ჩაგვერთო, ახალიაო? ჩემზე ჰკითხა და გაიცინა. ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნებაო და ჟანას გზის სწავლება დაუწყო, სადაც უნდა ჩამოვსულიყავით. მგონი გავცდით, _ წამოხტა ჟანა. ჰო, გავცდით, გზა აგვიბნია უცხო “ბადანტე” ქალბატონმაო, იქვე ავტობუსში ღილაკს ხელი დააჭირა ჟანამ და მომდევნო გაჩერებაზე ჩამოვედით. მასპინძელი ისევ გვირეკავდა, ჟანა ისევ ცრემლიანი ხმით საუბრობდა და გარბოდა, მე მივდევდი და ვერ ვეწეოდი. გზადაგზა გამომხედავდა, თან ტელეფონზე თვალი ჰქონდა ჩართული და გზას აჩვენებდა. იქ, სადაც გველოდებოდნენ, სხვებიც იყვნენ, მივხვდი, რომ რამოდენიმე ქალი დამხვდებოდა. როგორც იქნა მივაღწიეთ დანიშნულების ადგილამდე ხან ვიდეო ზარის დახმარებით, ხან იტალიელთან მისამართის დადგენით. გამოდის, დავკარგეთ ტყუილად ორი ევრო ბილეთების და დრო, რომელიც ეგზომ ძვირფასი იყო თითოეულისთვის. მივადექით კარს, საიდანაც ჩვენებურების კისკისი მესმოდა, მოვიდნენო, ჩვენს ზარზე მიხვდნენ და გამოგვეგებნენ. მელოდნენ ჩემი ქართველები, გაშლილი ქართული სუფრით, დიდი სიყვარულით და სიხარულით სავსე თვალებით.

ისტომ? ის დავაშავეთ ასეთი?

ალო, შენა ხარ?

უცნობი ქალის ხმა გაისმა ტელეფონში. დიახ, გისმეთ, ვერ გიცანით, ვპასუხობ დათრგუნული ხმით. ის კი მშვიდად, ტკბილად მიხსნის, რომ არის ნინო, ჩემი მამის მეგობრის შვილი, რომ მიცნობს ინსტიტუტიდან, რომ გაუხარდა ჩემი ხმის გაგონება და აუცილებლად უნდა რომ ვესტუმრო. დავიბენი, ისედაც დათრგუნული, შეშინებული, ახალბედა ემიგრანტი, რომელიც ოფისში სამსახურის ძებნაში ნერვებდაგლეჯილი ვერაფერი კარგის მოლოდინში ვერა ვარ. როგორ წავიდე, ქუჩები არ ვიცი, თუმცა ეს ღვთისნიერი გოგო არ მეშვება და ბოლოს მითანხმებს კიდეც შეხვედრაზე. ემიგრანტ მეგობარს ვურეკავ, ამ ყველაფერს ვუყვები და ისიც მამშვიდებს, რომ მივაგნებ, საშიში არაფერია. სჯობს ცოტა ხნით გავიდე, რომ ფიქრებს თავი ავარიდო. ღამე როგორც იქნა დაილია, ქალბატონებს, რომლებიც ჩემთან ერთად ჩამოვიდნენ, ვთხოვე გამყოლოდნენ სტანციამდე, როგორც ემიგრანტები ეძახდნენ იმ ადგილს. იქ დამხვდებოდა მადლიანი ქართველი ნინოს მეგობარი და მიმიყვანდა მასთან. მიუხედავად იმისა, გზა არც ერთმა არ ვიცოდით, უარი არ მითხრეს და დავუყევით ვიწრო, ჭუჭყიანი ბარის ქუჩებს, ხან “ტრანსლაიტი” მოვიმარჯვეთ, ხან, რაც ვიცოდით, ის ოქროს სიტყვები გამოვიყენეთ. გზადაგზა მირეკავდა ჩემი ნინიკოც. ასე ვაი-ვაგლახით უნივერსიტეტის თეთრ შენობას მივადექით, იქვე სკვერში იმდენი უმუშევარი ქართველი ვნახეთ, გული გამიჩერდა. ვაიმე, ქართველები ხართ? ვერ ვმალავდი ემოციას! მეოთხე თვეა უმუშევარი ვარო, მპასუხობს მაღალი ქალბატონი, სიმწრით იღიმება, თან მანიშნებს, პოლიციაა და ქართულად ხმამაღლა არ ილაპარაკო და ბევრმა ერთად არ იაროთო. უსაბუთოები შეიძლება დაგვიჭირონო. იღიმებოდნენ და ისე გვიყვებოდნენ სატირალ ისტორიებს, რომ იყვნენ გასულები სამუშაოდ და ისეთი ბებია შეხვდათ, გაუსაძლისი! და გამოიქცნენ! ზოგი არც გასულა და უკვე საარსებო ფულიც უთავდებოდა. საქართველოში დარჩა ვინმეო, მკითხა ერთმა. მე გაოცებისაგან პირი ღია დამრჩენოდა, თვალები ცრემლით გამევსო, დამავიწყდა, რომ სტანციასთან ვიღაც ქართველი მელოდა, რომ ნინოსთან უნდა წავეყვანე. არ მინდოდა ამ ქალბატონებს მოვშორებოდი, მოფერება მინდოდა მათი. უფალი შეგვეწევა ყველას, არ გაგვწირავს, შემოგევლეთ თქვენ, ვბუტბუტებთ მე და ჩემი გამცილებლები. შიში გვიპყრობს, ჩვენ, სულ სამი დღის ჩასულებს, უფლის გარდა არავინ იცის, რა გველოდება, ვინ გაგვიღებს კარს ამ უცხო ქვეყანაში, ვინ შეგვიფარებს, ვის უნდა მოვუაროთ, ვინ იქნება ის ბებია თუ ბაბუა, რომელმაც ჩვენი მშიერი ოჯახები უნდა გვარჩენიოს და რის ფასად? ნერვებს მოუფრთხილდითო, გვამშვიდებს ერთი. ნეტავი, სადამდე გავქაჩავო, სანამ გავძლებო, ფულიც გამითავდაო. თუმცა დამსაქმებელი არ მაგდებს სახლიდან და მერე გადავუხდიო. ზოგს საქართველოდან უგზავნიან უფულოდ და უპატრონოდ დარჩენილს ფულს, იქნება გამოჩნდეს რამე და მანამდე ბინის და საჭმლის ფული გადაიხადეო. ეს ტკივილი, ეს ცრემლები იმდენია, ალბათ, ზღვა დადგება და ეს ცოდვის ზღვაა, რომელიც წალეკავს იმ დაყრუებულ ჩინოვნიკებს, რომელთაც ასეთ დღეში ჩაგვაგდეს. ვთქვი და თავი დავხარე, ტელეფონს დავხედე, ზარი იყო. თეონა, სადა ხარ? და ის ხმა უკვე წინ მედგა, მიპოვა და სანამ გავყვებოდი ამ მადლიან ქართველ გოგონას, გადავხედე ჩემს დაუსაქმებელ, გაწვალებულ ქართველებს და დავემშვიდობე. დავტოვე ისინი და კარგა ხანს ლაპარაკი ვერ შევძელი, მხოლოდ ერთი ვკითხე ჩემს გვერდით მომავალს, რატომ? რა დავაშავეთ ასეთი?

თეონა ჯანტურია

ფეხბურთი

ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ბოლო მერვე შესარჩევი შეხვედრა ფეხბურთში 15 ნოემბერს სტუმრად გამართა შვეიცარიის ეროვნულ გუნდთან და დამარცხდა მინიმალური ანგარიშით 1 : 0. 19 ნოემბერს კი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა გამართა, ასევე სტუმრად, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთან, ხორვატიის ეროვნულ გუნდთან და კვლავ დამარცხდა. ამჯერად ანგარიში 2 :1 იყო ხორვატთა სასარგებლოდ.

გამარჯვება ორივე შეხვედრაში

საქართველოს 18 წლამდელთა ნაკრებმა 17 და 19 ნოემბერს 2 ამხანაგური შეხვედრა გამართა თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის "ლოკომოტივის" სტადიონსა და ამავე სტადიონის სათადარიგო მოედანზე ფინელ თანატოლებთან. ორივე შეხვედრაში შესაბამისი ანგარიშით 2 : 0 და 2 :1 გაიმარჯვა.

ბრაზილია – მექსიკა 2 : 1

ამ ანგარიშით გაიმარჯვა ბრაზილიამ მსოფლიო ჩემპიონატზე ფეხბურთში 17 წლამდელთა შორის გამართულ ფინალურ მატჩში მექსიკასთან, რომელიც 26 ოქტომბრიდან 17 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდა ბრაზილიაში.

იორამ ნიკოლეიშვილი

სამტრედიელ სამბისტთა წარმატებები

1-2 ნოემბერს თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ჭიდაობა სამბოში, რომელსაც ევროპის ტურისთვის სპორტსმენები უნდა შეერჩია.

შეჯიბრი გლდანის ოლიმპიურ რეზერვებში ჩატარდა. ორთაბრძოლებში მონაწილეობას ღებულობდნენ სამტრედიის ჭაბუკ სამბისტთა გუნდი, კლუბ "ფალავანის" აღზრდილები (კლუბის დირექტორი ირაკლი მელაშვილი).

შეჯიბრება ჩატარდა 2003-2004 წლებში დაბადებულ სამბისტთა შორის. სამტრედიის გუნდმა წარმატებით იასპარეზა, კერძოდ, 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში მე-3 ადგილი დაიკავა გიორგი ჩხარტიშვილმა; 82 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა პავლიკა ფესვიანიძე.

16-17 ნოემბერს ქუთაისის სპორტის სასახლეში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, გივი სარდანიძის სახელობის ტურნირი, რომელიც საქართველოში სამბოს ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება.

საქართველოს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების სამბისტებთან ერთად შეჯიბრში მონაწილეობდა სასომხეთის ნაკრები გუნდი.

ორთაბრძოლები პირადი პირველობით 2002-2003 წლებში დაბადებულ სამბისტთა შორის წარიმართა. მათ შორის 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში მე-3 ადგილი მიხეილ გოგიტიძემ მოიპოვა; 81 კილოგრამ წონით კატეგორიაში პირველობა არავის დაუთმო და ჩემპიონის ტიტულს დაეუფლა პავლიკა ფესვიანიძე. სამტრედიელი სპორტსმენები დაჯილდოვდნენ მედლებით, თასებითა და შესაბამისი ხარისხის დიპლომებით.

წარმატებული სამტრედიელ სპორტსმენებს წვრთნიან და ამზადებენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ავთანდილ თარგამაძე და ბესარიონ შვანგირაძე.

ავთანდილ თარგამაძემ ტრადიციულად "სამტრედიის მაცნესთან" სამბისტების წარმატებებზე ისაუბრა: "ჭიდაობა სამბოში მოსულია ახალგაზრდა თაობა, რომლებიც ღირსეულად ასპარეზობენ საქართველოს ჩემპიონატებსა და საერთაშორისო სარბიელზე. ბოლო ხანების წარმატებამ მწვრთნელებს იმედი ჩაგვისახა, რომ ეს ახალი თაობა ღირსეულად გააგრძელებს უშანგი მარგიანის, გიორგი ზამთარაძის და ოთარ გოგისვანიძის ღირსეულ გზას. მწამს, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე მაღალი სინჯის მედლებს მოიპოვებენ ".

ნინო ნანიტაშვილი

სულთათანა გენერალო!

თუ სახელის შოვნა გინდა,/ დღეს ისეთი ნერგი დარგე,/ რომ ხვალემა მადლობით თქვას: / ნანერგითა შენით მარგე.
ილია ჭავჭავაძე

სისხლისმიერი ნათესავის გარდაცვალებასავით განვიცადეთ თქვენი ამქვეყნიური ყოფის დასასრული ბატონო გიორგი, თქვენი მშობლიური რაიონის მშობლიური გაზეთის რედაქციის იმ თანამშრომლებმა, ვისაც გვახსოვს თქვენი სითბო, თანადგომა, ფინანსური (არაერთჯერადი) დახმარება ქვეყნისა და გაზეთისათვის ყველაზე შეჭირვებულ დროს.

ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, გენერალი "სამტრედიის მაცნეს" მხსნელად და მშველელად 1990-იანი წლების მიწურულს მოევლინეთ, თქვენი თანასოფლელის ბატონ ოთარ ნაფეტვარიძის შუამდგომლობით.

ხელფასივით ველოდით წლების მანძილზე რედაქციის თანამშორმლები "გიორგი ხაზარაძის საჩუქარს", რომელიც არასოდეს იგვიანებდა და თანდათან იზრდებოდა. ბევრმა, ძალზე ბევრმა შეგვაშველა მაშინ ხელი, რომ არ გაჩერებულიყო გაზეთი, იყვნენ ისეთები, რომლებიც გვეუბნებოდნენ, დაგეხმარებით, თუ ჩემს სახელსა და გვარს შემომწირველთა შორის მოიხსენიებთ გაზეთშიო. თუმცა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ჩუმად, უპრეტენზიოდ აკეთებდნენ სიკეთეს და გვთხოვდნენ პირიქით: არაფერი გვეთქვა მათი კეთილშობილების შესახებ. ვინ იყვნენ ასეთები? უფროსი თაობის პედაგოგები: კლარა შანიძე, თამარ გოთოშია, მათ თავიანთი დანაზოგი ჩარიცხეს გაზეთის ანგარიშზე, აგრეთვე ცნობილი სამეურნეო ხელმძღვანელები, ილია ოდილავაძე, ოთარ კაცაძე, ჯემალ ტუღუში და სხვები. თქვენ კი, თქვენ მოქნილი გამოსავალი მოძებნეთ და "სამტრედიის მაცნეს" სპონსორად თქვენდამი რწმუნებული ფირმა "საიმედო" მოუვლინეთ იმედად. დაუვიწყარია ყოველივე, შეუფასებელი ენით გამოუთქმელია თქვენი საქციელი, თქვენ ხომ ამას ყოველგვარი აფიშირების, თვითრეკლამის გარეშე აკეთებდით. სხვა წერილის სხვა თემაა თქვენი ღვაწლი, გარჯა და ამაგი სამტრედიელთა წინაშე.

სამტრედიის პოლიციის ყოფილი ადმინისტრაციული შენობა, საბრძოლო დიდების მუზეუმი სოფელ ბაშში. ბაშის საჯარო სკოლის შენობა, ზრუნვა ბაშსა და ბაშელებზე, თქვენი ძალისხმევით იხილა სამზეო ღირსეული ბაშელი კაცის, სამსონ კაშმაძის შემოქმედებამ ცალკე წიგნად რომ გამოიცა თქვენივე თანადგომით.

ღვთისნიერ კაცს დიდი ხნის სიცოცხლე გარგუნათ უფალმა, ვარდობისთვის დასაწყისში 95 წლისა გახდებოდით.

ვწუხვარ უკანასკნელ გზაზე რომ ვერ გაგაცილეთ რედაქციის თანამშრომლებმა ისეთი პატივით, თქვენ რომ გეკადრებოდათ.

ნათელში დაავანოს არსთა გამრიგემ თქვენი სპეტაკი სული ბატონო გენერალო და კიდევ ჩვენი უფროსი კოლეგისა და მეგობრის, ბატონ ოთარ ნაფეტვარიძის სული, რომელმაც თქვენ და გაზეთი დაგაახლოვათ.

ლევან გაბეჩავა



ბუკუნა ხაბეიშვილი

უდიდესი დარდითა და ტკივილით მიილია უშენობის 40 დღე ჩვენო ძვირფასო და კაცურო კაცო ბუკუნა. წახვედი ჩვენს უკეთილშობილეს შვილ გიზოსთან და უამრავ უახლოეს ადამიანთან. ალბათ ბედნიერი ხარ ამით ჩემო დარდითა და ავადმყოფობით გატანჯულო და დათრგუნულო, მაგრამ სულით ძლიერო სათნო მოხუცო, მეუღლევ.

გპირდებით, სანამ სული მიდგას ვილოცებ თქვენთვის, რომ არ მოგაკლდეთ სასუფეველი ჩემო ძვირფასებო.

თქვენი იზა და გელა

სოფელ ბაშის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლობა და საექიმო ამბულატორია თანაუგრძნობს მურმან კაშიას მეუღლის, ქალბატონი

ფოთოლას

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის "მაცნეს რედაქცია" თანაუგრძნობს ბატონ სპირიდონ (ბაჭა) პაპავას

დის

გარდაცვალების გამო.

ლევან გაბეჩავა თანაუგრძნობს ბატონ სპირიდონ (ბაჭა) პაპავას

დის

გარდაცვალების გამო.

სახლი "თანადგომას" თანამშრომლები თანაუგრძნობენ დალი ვეკუას დედის, ქალბატონი

რუსუდანის

გარდაცვალების გამო.

მზევინარ ბოხუა და რამიზო ფანცულაია თანაუგრძნობენ დალი ვეკუას დედის, ქალბატონი

რუსუდანის

გარდაცვალების გამო.

თეა ბაბუნაშვილი და ამირან პაპავა ოჯახით თანაუგრძნობენ სპირიდონ (ბაჭა) პაპავას დის, ქალბატონი

რუსუდანის

გარდაცვალების გამო

დედა მარინა თელია, მამა ოთარ (ჟიგული) თევზაძე, მეუღლე სოფიკო ჯვარშეიშვილი, შვილები ნინო და ნიკა, ძმა გოჩა, რძალი სოფიკო სტეფანია, ძმისშვილი საბა, ბებია ჩიტო დუნდუა, ბაბუა ავთო თელია, ბიძა მიხეილი, მამიდა მაყვალა თევზაძეები, ბიცოლა მედიკო ონიანი, ბიძა შოთა ასათიანი, სიდედრი ლია, ცოლისდა ხათუნა, ცოლისძმა გია ჯვარშეიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და უახლოესი ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გია (დოყო) თევზაძე

გია თევზაძე, დოყო აღარ არისო, ელვისებური სისწრაფით მოედო 27 ნოემბრის დილას. ყველა, ვინც პირადად იცნობდა და ან მხოლოდ სამტრედიელობა აკავშირებდა მასთან, გულს იწყვეტდა და გლოვობდა ახალგაზრდა კაცს, ცნობილს და გამორჩეულს არა მარტო ოჯახისშვილობით, არამედ პირადი ურთიერთობით, ფიზიკურობით, ნიჭიერებით, გულისხმიერებით.

41 წელი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ღირსეული ადგილი დაემკვიდრებინა საზოგადოებაში. ტელეკოპანია "ზარმა" მის მხრებზე მრავალი აღმავალი ეტაპი განვლო. იყო სირთულეები, რომელთა დაძლევაში მას ლომის წილი მიუძღვის.

იყო არა მხოლოდ პროფესიონალი, არამედ კარგი მეგობარი, შვილი, შვილიშვილი, მეუღლე და მამა. წავიდა და დაგვიტოვა მოუშუშებელი ტკივილი, წავიდა იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ტელეკომპანია "ზარის" თანამშრომლები

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო თანაუგრძნობს ბატონ ოთარ თევზაძის ოჯახს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაუგრძნობს მედეია ონიანისა და მიხო თევზაძის ოჯახს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება

გია თევზაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მანანა თელიასა და ოთარ თევზაძეს, ტელეკომპანია "ზარის" თანამშრომლებს.

სამტრედიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება სამძიმარს უცხადებს მანანა თელიასა და ოთარ თევზაძის, ნანა დუნდუას ოჯახებს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა თელიასა და ოთარ თევზაძის ოჯახს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

სახლი "თანადგომას" დირექტორი მზევინარ ბოხუა და თანამშრომლები თანაუგრძნობენ მანანა თელიას და ოთარ თევზაძის ოჯახს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

საზოგადოება "სამტრედიელი" თანაუგრძნობს მანანა თელიასა და ოთარ თევზაძეს შვილის

გიას

გარდაცვალების გამო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება სამძიმარს უცხადებს ოთარ (ჟიგული) თევზაძის ოჯახს შვილის

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლები თანაუგრძნობენ
მანანა თელიასა და ოთარ თევზაძეს, ტელეკომპანია "ზარის" თანამშრომლებს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

ნინო ლომია ოჯახით თანაუგრძნობს მანანა თელიას და ოთარ თევზაძეს შვილის, ჩიტო და ნანა დუნდუებს საყვარელი შვილიშვილის

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

მანანა მანჯგალაძე ოჯახით თანაუგრძნობს მარინა თელიასა და ოთარ თევზაძის ოჯახს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

ნინო ნანიტაშვილი და ბადრი ვაშაკიძე თანაუგრძნობენ ღრმა მწუხარებაში მყოფ მანანა თელიასა და ოთარ თევზაძის ოჯახს და ყველა მის ახლობელს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

ნანა შანიძე ოჯახით თანაუგრძნობს მანანა თელიას და ოთარ თევზაძის ოჯახს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

ნათელა გელეიშვილი და მაყვალა ჩირგაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ღრმა მწუხარებაში მყოფ ოთარ თევზაძის ოჯახს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

ნაზიკო, მარეხი და ლამზირა თევზაძეები ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობენ მანანა თელიასა და ოთარ თევზაძეს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

ნათია პაპავა და ლაშა ქაშაკაშვილი ოჯახით თანაუგრძნობენ მანანა თელიასა და ოთარ თევზაძის ოჯახს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

ლევან და ლადი პაპავები ოჯახებით თანაუგრძნობენ ოთარ თევზაძის ოჯახს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

ვალერი თევზაძე ოჯახით თანაუგრძნობს მანანა თელიასა და ოთარ თევზაძის, ჩიტო დუნდუასა და ავთანდილ თელიას ოჯახებს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

იორამ ნიკოლეიშვილი ოჯახით თანაუგრძნობს მანანა თელიასა და ოთარ თევზაძის, ჩიტო დუნდუასა და ავთანდილ თელიას ოჯახებს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

ნატალია შათირიშვილი და ბაჩო სონძია ოჯახით თანაუგრძნობენ მანანა თელიას და ოთარ თევზაძის, ჩიტო დუნდუასა და ავთანდილ თელიას ოჯახებს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

ნუნუ აბრამია და სოსო ახობაძე ოჯახით თანაუგრძნობენ მანანა თელიასა და ოთარ თევზაძის ოჯახს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

სპირიდონ (ბაჭა) პაპავა ოჯახით თანაუგრძნობს მანანა თელიასა და ოთარ თევზაძის ოჯახს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

ელენე და ჯემალ ბოხუები თანაუგრძნობენ მანანა თელიასა და ოთარ თევზაძის, ჩიტო დუნდუასა და ავთანდილ თელიას ოჯახებს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

ელიზა და გია ცხვირავაშვილები ოჯახებით თანაუგრძნობენ მანანა თელიასა და ოთარ თევზაძის, ჩიტო და ნანა დუნდუების ოჯახებს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

ნატო გოგიშვილი თანაუგრძნობს მანანა თელიასა და ოთარ თევზაძეს შვილის

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

მარინა ქართველიშვილი და გივი ღაღანიძე თანაუგრძნობენ მანანა თელიას და ოთარ თევზაძის ოჯახს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

მარინე გედენიძე და ვალერი სტურუა ოჯახით თანაუგრძნობენ მანანა თელიას და ოთარ თევზაძეს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

ქეთევან ჭელიძე და ვალერი სანაძე ოჯახით თანაუგრძნობენ მანანა თელიას და ოთარ თევზაძეს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

დარეჯან, თამაზ და მამუკა ახობაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ მანანა თელიასა და ოთარ თევზაძეს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

დარეჯან ქავთარია და თენგო გალდავა ოჯახით თანაუგრძნობენ მანანა თელიასა და ოთარ თევზაძეს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

მედეა ჭკადუა და ბეჟან გოგია ოჯახით თანაუგრძნობენ მანანა თელიასა და ოთარ თევზაძეს

გია თევზაძის

გარდაცვალების გამო.

წარმატება სომხეთში

2019 წლის 16-17 ნოემბერს სომხეთის ქალაქ ერევანში ჩატარდა საერთაშორისო ჩემპიონატი კიოკუშინკაი კარატეში, სადაც მონაწილეობდნენ რუსეთის, უკრაინის, ირანის, სომხეთისა და საქართველოს წარმომადგენლები. მათ შორის საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში (მაცუშიმას ორგანიზაცია) სხვა წევრებთან ერთად მონაწილეობდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სპორტსკოლის კარატეს ჯგუფის წევრი მარიამ გოგიტაური (სკოლის დირექტორი ივანე კილტავა, მწვრთნელ-მასწავლებელი სენსეი მიხეილ ქანთარია).

მარიამ გოგიტაურმა, რომელმაც წარმატებით იასპარეზა, დაიკავა მესამე საპრიზო ადგილი.

რომ არა ძველი ტრავმა (მარიამი ნახევარფინალში ტრავმის გამო მოიხსნა შეჯიბრიდან) მარიამს ფინალში ვიხილავდით.

სენსეი მიხეილ ქანთარია

ვულოცავთ!

ლევან გაბეჩავას!

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენს კოლეგას, "სამტრედიის მაცნეს" ნაცად და ერთგულ თანამშრომელს. ჯანმრთელობასა და სიხარულთან ერთად პროფესიული წარმატებები მოეტანოს მისთვის ამიერიდან გასავლელ კიდევ მრავალ წელიწადს. ბედნიერი ჰყოლოდეს ახლადდაქორწინებული, შვილივით გაზრდილი მისი თეონა, რომელსაც მამობა გაუწია. ჩვენ კი კიდევ დიდხანს არ მოგვკლებოდეს მისი იუმორი და თანადგომა.

"სამტრედიის მაცნე"

პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს ჟურნალისტს, გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელ მდივანს, ბიბლიოთეკის ერთგულ მკითხველს, მეგობარს, მრჩეველს, მასობრივი ღონისძიებების მონაწილეს, წამყვანს. იხარეთ და იდღეგრძელეთ საყვარელ ოჯახთან ერთად.

ჯანმრთელობას, პროფესიულ წარმატებებს გისურვებთ.

უფლის მადლი გფარავდეთ.

მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების თანამშრომლები

თეონა ქუდლაშვილსა და ვასო ჯიბუტელს!

დაუბერებელი სიყვარულის, ვაჟიანობის, გამრავლებისა და ბედნიერების გულწრფელი სურვილებით გილოცავთ გაბედნიერებას. ჩვენი გაზეთისთვის უცხონი არ ხართ და გვინდა, ჩვენი მოლოცვა დალოცვად გაჰყოლოდეს თქვენს მზეგრძელ სავალს. მხოლოდ საუკეთესო გაგვეგოს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახზე!

"სამტრედიის მაცნე"

ქალბატონ ციალა კვანტალიანს!

ღვაწლმოსილ პედაგოგს, მრავალი ღირსეული თაობის აღმზრდელს პატივისცემით გილოცავთ 91 წლის შესრულებას. იხარეთ, იდღეგრძელეთ თქვენს ოჯახთან ერთად ჩვენო საყვარელო ციალა მასწავლებელო.

ლევან გაბეჩავა

დემეტრე რამიშვილს!

დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. სწავლასა და შრომაში გამოჩენილი წარმატებები ყოფილიყოს შენი მეგზური. ჩვენი, ყველას ვალია, ღირსეული შვილები და მოქალაქეები ვიყოთ შენთან ერთად კარგ გოგო-ბიჭებად გაზრდილიყავით. ჯანმრთელობა და სიხარული დაგებედოს დემეტრე, უზრუნველი ბავშვობა და კაცურკაცობა ნიშად დატყობოდეს შენს სავალს.

მესამე საჯარო სკოლის პირველკლასელები და კლასის დამრიგებელი მარეხ თევზაძე

რა არის და როგორ წარმოიქმნება ცუნამი

ცუნამი არის ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი ბუნებრივი კატასტროფა. ოკეანის ძალიან დიდი სიგრძის გრავიტაციული ტალღებით, რომლებიც უმთავრესად წარმოიქმნება ფსკერზე ან სანაპირო ზოლში მომხდარი მიწისძვრის, ვულკანური მოქმედებისა და სხვა ტექტონიკური პროცესების შედეგად, წარმოიქმნება ცუნამი. ცუნამის 1000-მდე ცნობილი შემთხვევიდან 100-ზე მეტი კატასტროფული იყო. ცუნამი 80% წყნარი ოკეანის პერიფერიაზე ჩნდება. მისი ტალღების გავრცელების სიჩქარე 50-დან 1000 კმ/სთ-მდე, ხოლო ტალღის სიმაღლე 0,1 მ-დან (ღია ზღვაში) 5 მ-მდე (ნაპირთან) მერყეობს. ცუნამი დიდ ნგრევასა და მსხვერპლს იწვევს. ლისაბონის 1755 წლის მიწისძვრის შედეგად წარმოქმნილმა ტალღებმა ნაპირიდან 1კმ-ის მანძილზე შეაღწია ხმელეთზე და ოკეანეში ჩარეცხა ნაპირთან მდგომი გემები, სახლები, ხიდები, ადამიანები.

2005 წელს ინდონეზიის კუნძულებთან მომხდარმა მიწისძვრამ გიგანტური ცუნამი წარმოქმნა, რომელიც თავს დაატყდა აზიისა და აფრიკის ქვეყნებს და 200 ათასზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა.

ცუნამი იაპონურად სანაპიროს ტალღას ნიშნავს. თავდაპირველად ამ ბუნებრივ მოვლენას მოიხსენიებდნენ როგორც "აღელვებულ დინებას".

ცუნამის წარმოქმნა ძირითად წყლისქვეშა მიწისძვრასთან არის დაკავშირებული. ამერიკელი გეოლოგების კვლევებით, სამოაში მომხდარ ცუნამის კატასტროფიდან რამოდენიმე წუთის შემდეგ, ქვეყანას 8,3 ბალიანი მიწისძვრა დაატყდა თავს. აქედან გამომდინარე ყველა ცუნამის მაგალითს თუ შევაჯამებთ, 80% მიწისძვრასთან რომ არის დაკავშირებული, ამას მარტივად მიხვდებით.

კითხვაზე თუ სად წარმოიქმნება ცუნამი ყველაზე მეტად, პასუხი მარტივია! ეს წყნარი ოკეანის რეგიონია. ცუნამის 80% წყნარ ოკეანეში ხორციელდება.

ის, რომ ცუნამი წყლისქვეშა მიწისძვრის შედეგად წარმოიქმნება, პირველად ბერძენმა ისტორიკოსმა, დაამტკიცა. ეს იყო პელოპონესის ომის დროს.

ცუნამის შედეგად 2008 წელს 85 000 ადამიანი დაიღუპა. ქარიშხლის შედეგად წარმოქმნილ ცუნამს "შეტეოცუნამის" ეძახიან. ამ უკანასკნელმა დამაგრეველი დარტყმა მიაყენა მიანმარს, სადაც 85 000 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 54 000-ზე მეტი დაიკარგა. შესაძლებელია თუ არა ცუნამის გამოცნობა წინასწარ? ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა შეუძლებელია.

ალექსი აბლიევი

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა